ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

„ვიღაცამ გამიზნულად ააფეთქა რაღაც და ამიტომ გაჩნდა ხანძარი“

აფეთქება ქუთაისში ოჯახურ კონფლიქტს უკავშირდება



გვ.7

18 ივნისიდან

ანე ფრანკი

თავშესაფარი

„მე მიყვარს კითხვა“




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

ოთხშაბათი, 19 ივნისი, 2019

№143 (8097)

ფასი: 60 თეთრი

# რატომ გაუშვეს სინამდვილეში სერგეენკო



გვ.2

ყოფილი მინისტრისა და ივანიშვილის დაპირისპირების საიდუმლო დეტალები





გვ.3

## „სერგეენკო იმიტომ მოხსნეს, რომ „ოცნება“ წარმატებულ ხალხს ებრძვის“

დავით ჭიჭინაძე: „მამუკა ბახტაძე წლის ბოლომდე დარჩება“

## მთავრობაში მორიგი ცვლილება იგეგმება



დავით ზალკალიანი პრემიერის მრჩეველი გახდება?




გვ.2



გვ.5

რატომ მასპინძლობს საქართველო ქართველების მკვლელ რუს დეპუტატ გავრილოვს

## როგორ შეიძლება იქცეს 31%-იანი მხარდაჭერა 60%-ად?



გვ.4



გვ.3

კახა კოჟორიძე: „ლევან ვასაძემ პოლიტიკური აქტიურობა ლგბტ თემას მიაბა“

**სამართალი** გვ.7

## „ბასიანიდან“ გადაყვანილი 18 წლის ბექა ზ. ამ დრომდე უგონოდაა

რა მოხდა კლუბში?



## სტამბოლში საქართველოსა და რუსეთის მოქალაქეებს შორის სროლა იყო

მოკლულია ქართველი თ.პ.




**ეკონომიკა** გვ.6



## „პარლამენტი მკვლელ ბიზნესს ლობირებს“



2015-2017 წლებში შემოწმებული სტომატოლოგიური დაწესებულების 54% კონტროლის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს



საქართველოში კერძო სამედიცინო დაზღვევით მოსახლეობის 15 პროცენტი სარგებლობს

ISSN 1987-9385

3 ირაკლი ოქრუაშვილმა პოლიციელებს მიმართა: „დაიცავით სახელმწიფოს ინტერესები!“

4 გრიგოლ ვაშაძე: „ვასაძე პირდაპირი ინსტრუქციებით მოსკოვიდან მოქმედებს“

5 რა ქონებით ტოვებს პოსტს დავით სერგეენკო

4 რამაზ საყვარელიძე: „ახალი ცოცხი“ რეფორმებისთვის, შესაძლოა, უკეთესი იყოს“

# რატომ გაუშვეს სინამდვილეში სერგეენკო

## ყოფილი მინისტრისა და ივანიშვილის დაპირისპირების საიდუმლო დეტალები

შორენა მარსაგიშვილი

ახლო მომავალში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, შესაძლოა, საჩხერის საავადმყოფოში განთავსდეს. სხვა თუ არაფერი, ეს საავადმყოფო ბანკ „ქართუსთან" ერთად კადრების ნამდვილ სამჭედლოდ იქცა.

ჯანდაცვის ახალ მინისტრად გუშინ, 18 ივნისს, საჩხერის საავადმყოფოს კიდევ ერთი ექიმი ეკატერინე ტიკარაძე დაინიშნა. მის წინამორბედი დავით სერგეენკოც საჩხერის საავადმყოფოს ექიმი იყო.

ოპოზიციის მტკიცებით, ტიკარაძის გამინისტრებაში გადამწყვეტი როლი საჩხერის საავადმყოფოში გატარებულ წლებს არ შეუტანია. პარლამენტის წევრი თინა ბოკუჩავა აცხადებს, რომ ეკატერინე ტიკარაძე ბიძინა ივანიშვილის თანამეცხედრის პირადი სტომატოლოგია.

მინისტრობიდან წასული სერგეენკო აცხადებს, რომ ტიკარაძეს რეკომენდაცია მან გაუწია.

– ჩვენ გარკვეული პერიოდის განმავლობაში გვქონდა ინტენსიური კონსულტაციები, წინასწარ მომზადებული რეფორმების ახალი ფაზა, როგორ იქნებოდა ოპტიმალური, რათა სწორად დაგეგმილიყო სწორად დანერგილიყო და განხორციელებულიყო. ჩვენ შევთანხმდით, რომ ასეთი ცვლილება იქნებოდა უფრო მეტი შედეგის მომტანი. არ დაგიმალავთ, რომ ეს ჩემი ინიციატივა იყო, მე ვთხოვე პრემიერს, განგვეხილა ასეთი ცვლილებები, რათა უკეთესი შედეგი მიგვეღო. მე გავუწიე რეკომენდაცია ქალბატონ ეკას, რადგან ჩვენ 10 წელზე მეტი თანამშრომლობის გამოცდილება გვაქვს სხვადასხვა სფეროში და ძირითადად ეს არის ჯანდაცვის მენეჯმენტი, – განაცხადა დავით სერგეენკომ.

მისივე თქმით, სჯერა, რომ ჯანდაცვის სფეროში რეფორმები ასე უკეთესად განვითარდება.

– ერთი მხრივ, მეც მეტი საშუალება მექნება, რომ სტრატეგიულ დაგეგმარებასა და განვითარებაზე ვიყო კონცენტრირებული, რომ მხარში ამოვუდგე პრემიერ-მინისტრსა და ახალ ჯანდაცვის მინისტრს, მეორე მხრივ, ქალბატონ ეკას ექნება საშუალება, თავისი ცოდნა და გამოცდილება მოახმაროს ამ ძალიან რთული სისტემის მართვას. მინდა, ხაზი გავუსვა საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერას და ულრმესი მადლობა მათ. 2012 წელს, როგორც კი საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ ჯანდაცვა არის პრიორიტეტი, ეს თემა მოექცა



საერთაშორისო საზოგადოების დიდი მხარდაჭერის ქვეშ. მინდა ხაზგასმულად მადლობა გადავუხადო ჯანდაცვის სამინისტროს შესანიშნავ გუნდს. მათ უზარმაზარი სამუშაო გააკეთეს წლების განმავლობაში და მადლობა. მინდა, წარმატებები ვუსურვო ქალბატონ ეკას, ეს არ არის უბრალოდ პროტოკოლური სურვილი, ეს არის ნამდვილად გულწრფელი. თქვენს წარმატებაზე დამოკიდებული იქნება ბევრი ადამიანის კეთილდღეობა და მე მჯერა, რომ ეს ცვლილებები იქნება უკეთესი შედეგების მომტანი, – აღნიშნა ყოფილმა მინისტრმა.

დავით სერგეენკო ამიერიდან პრემიერ მამუკა ბახტაძის მრჩევლად იმუშავებს. 2020 წლისთვის კი „ოცნება" მას საპარლამენტო სიაში ჩაწერს, თუ მანამდე მისი დაკავება არ მოხდა.

„ახალი თაობა" უკვე წერდა იმის შესახებ, რომ ცე ჰეპატიტის წამლებთან დაკავშირებით ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი სკანდალში გაეხვია. ძვირადღირებული წამლები რუსეთში შავ ბაზარზე იქნა აღმოჩენილი.

ამერიკელმა სამართალდამცავებმაც რუსეთში ნახეს ეს წამალი, რომელიც გაყიდვაში არ უნდა ყოფილიყო. დაიწყო გამოძიება და კვალმა ისინი თბილისში ჩამოიყვანა. გამოძიებით გაირკვა, რომ ამ საქმეში ჯანდაცვისა და შერიგების სამინისტროს მაღალჩინოსნები იყვნენ ჩართული. მათ აფხაზებისა და ოსების დახმარებით გაიტანეს ეს წამალი რუსეთში.

„ოცნებასთან" დაახლოებული წყარო „ახალ თაობასთან" ამ საქმის ახალ დეტალებზეც საუბრობს. მისი თქმით, ამერიკელებმა ცე ჰეპატიტის წამლები, რომლის ერთი კურსის ღირებულება ათეულობით ათასი დოლარია, ევროპაშიც აღმოაჩინეს. საუბარია იტალიასა და საბერძნეთზე. იქ საქართველოდან წამლები ქართველ კანონიერ ქურდებს გაუგზავნეს. ამ საქმეშიც მაღალჩინოსნები არიან გარეული.



ჩვენი წყაროს ინფორმაციითვე, ამის შესახებ პრეტენზიები ამერიკაში საიდუმლო ვიზიტით მყოფ გიორგი გახარიას წაუყენეს. შს მინისტრი აშშ-ს მაისში სტუმრობდა.

სერგეენკო, სავარაუდოდ, მხოლოდ ამ სკანდალს არ შეეწირა. მას თავადაც სურდა წასვლა და ახლა საამისოდ კარგი დრო გამონახა.

წლების განმავლობაში ის ყველაზე რეიტინგულ მინისტრად ითვლებოდა, რაც მთავრობაში ვიღაცებს ძალიან არ აწყობდათ. ბოლო პერიოდში ვიღაცების მიერ ის აშკარა ჩაგვრას განიცდიდა. როგორც „ოცნებასთან" დაახლოებული წყარო გვიყვება, სერგეენკოს ისე უნიშნავდნენ და უხსნიდნენ მოადგილეებს, მის აზრს არც კითხულობდნენ. ამის გარდა, ტენდერებშიც ის ფირმები იმარჯვებდნენ, რომლებსაც ივანიშვილის გარემოცვა აკონტროლებდა.

ჯანდაცვის ყოფილი მინისტრიც ივანიშვილის გარემოცვის წევრად ითვლებოდა, მაგრამ ბოლოს მათ შორის სიტუაცია ოდნავ დაიძაბა.

იყო დრო, როცა ის პრემიერის პოსტზეც კი მოიაზრებოდა. ივანიშვილმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დააანონსა, რომ 2013 წლის ბოლოსთვის დატოვებდა პრემიერის პოსტს. პირველად მაშინ ითქვა, რომ მას სერგეენკო ჩაანაცვლებდა. მეორედ მის გაპრემიერებაზე ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომის შემდეგ ალაპარაკდნენ. როგორც ამბობენ, მაშინ აწ უკვე ყოფილმა მინისტრმა ყველაფერი გააკეთა, რათა მთავრობის მეთაური არ გამხდარიყო.

„ოცნებაში" ამბობენ, რომ ის მომავალ პარლამენტში დეპუტატად მოგვევლინება, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ივანიშვილს სიბრაზე გადაუვლის. „ოცნებასთან" დაახლოებული წყარო „ახალ თაობასთან" იმ მიზეზებზე საუბრობს, რატომაც დაეძაბა ყოფილ მინისტრს მთავარ მეოცნებესთან ურთიერთობა.

– დავით სერგეენკოს უყურადღებობა რომ არ გამოეჩინა და თავისი უფროსის თხოვნა არ დაეკიდებინა, ის კვლავ თანამდებობაზე იქნებოდა. ივანიშვილმა მის მოხსნაზე მაშინაც კი თქვა უარი, როცა ცე ჰეპატიტის სკანდალის შესახებ აცნობეს, მაგრამ დაკიდება არ აპატია.

ივანიშვილის ბავშვების ძიძის ძმა ცოტა ხნის წინ ძალიან ცუდად გახდა. ივანიშვილმა პირადად დაურეკა სერგეენკოს და სთხოვა, რომ მისთვის მიეხედა და სამკურნალოდ საზღვარგარეთ წაეყვანა.

ყოფილმა მინისტრმა ივანიშვილს თხოვნა არ შეუსრულა და მისი შვილების ძიძის ძმა სამკურნალოდ თბილისში დააწვინა. აქ ავადმყოფის მდგომარეობა გაუარესდა. ეს ამბავი ლიდერის ყურამდეც მივიდა და ის ძალიან გაბრაზდა.

მან სერგეენკო დაიბარა და ეჩხუბა, უთხრა, კაცად გაქციე, ამდენი რამე გაპატიე და ეს ერთი თხოვნა როგორ არ შემისრულეო. ამის შემდეგ სერგეენკოს მთავრობაში აღარ დაედგომებოდა. მას გადადგომა ისედაც უნდოდა და წავიდა, – ამბობს „ოცნებასთან" დაახლოებული წყარო.

მისი ინფორმაციით, ამ ეტაპზე მთავარი მეოცნებე ყოფილ მინისტრზე ძალიან გაბრაზებულია. მოგვარდება თუ არა მათ შორის ურთიერთობა, ამას მომავალი გვაჩვენებს.

# მთავრობაში მორიგი ცვლილება იგეგმება

## დავით ზალკალიანი პრემიერის მრჩეველი გახდება?

შორენა მარსაგიშვილი

მთავრობის მეთაურმა მამუკა ბახტაძემ დიდი ზარ-ზეიმით გვამცნო, რომ მთავრობას ახალი განახლება და ახალი სისხლი სჭირდება. ამით მან, ფაქტობრივად, დაადასტურა მედიაში გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დავით სერგეენკოს გარდა, მინისტრთა კაბინეტიდან სხვებიც წავლენ.

მთავრობაში მოსალოდნელ ცვლილებებს გასულ კვირას „ოცნების" ლიდერები მედიის მოგონილ ჭორებს უწოდებდნენ. მას შემდეგ, რაც ჯანდაცვის მინისტრი შეიცვალა და პრემიერმა თქვა, ცვლილებების დროაო, მეოცნებენიც აჭიკჭიკდნენ ახალი სისხლის გადასხმის აუცილებლობაზე.

მმართველი პარტიის კულუარებში უკვე სახელდება იმათი გვარები, ვინც ახლო მომავალში დაემშვიდობება მთავრობას.

„ოცნების" კულუარებში ამბობენ, რომ ნიჩაბზე რამდენიმე მინისტრი ზის. ერთ-ერთი მათგანი ქართული დიპლომატიის მამა დავით ზალკალიანია.




ხელისუფლებაში „ოცნების" მოსვლის შემდეგ საგარეო მიმართულება ისედაც ჩავარდა, მაგრამ დავით ზალკალიანმა ყველანაირი რეკორდი მოხსნა.

განსაკუთრებული ჩავარდნა ამერიკის მიმართულებით არის, ივანიშვილისთვის კი ეს ქვეყანა ბევრი მიზეზის გამოა მნიშვნელოვანი. მას ძალიან ეშინია, ანგარიშები არ გაუყინონ. ვაშინგტონში მისი ანგარიშების შესაძლო გაყინვაზე უკვე გაკეთდა მინიშნებები.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა პომპეომ გასულ კვირას ერთობლივ პრესკონფერენციაზე საჯაროდ დაგვიტუქსა პრემიერი. საქართველოს ხელისუფლების მიმართ ასევე საჯაროდ გაკეთდა რამდენიმე მინიშნება. „ოცნების" კულუარებში ამბობენ, რომ ბახტაძემ ივანიშვილს სხვა მესიჯებიც ჩამოუტანა, რაც ოლიგარქისთვის სასიამოვნო არ ყოფილა.

ამის გამო შეიძლება თანამდებობა მამუკა ბახტაძემაც დატოვოს. ძველად ცუდი ამბის მიმტანებს თავებს აჭრიდნენ. ივანიშვილი პრემიერს თავს არ მოაჭრის, მაგრამ, სავარაუდოდ, სკამის გარეშე დატოვებს.

ინფორმაცია ბახტაძის გადადგომის შესახებ გასულ კვირას სააგენტო „თაიმერმა" გაავრცელა. პორტალის ცნობითვე, პრემიერის პოსტს მაია ცქიტიშვილი დაიკავებს.

მმართველ პარტიაში ეს ინფორმაცია არ დაადასტურეს, თუმცა არც გამწარებით უარყვეს. „ოცნებასთან" დაახლოებულმა წყარომ „ახალ თაობას" უთხრა, რომ დაგეგმილია ბახტაძის სასწავლებლად გაშვება.

ბახტაძემდე თანამდებობას რამდენიმე მინისტრი დატოვებს. მათ შორის პირველი დავით ზალკალიანი იქნება. მის შეცვლაზე ისედაც დიდი ხანია საუბრობენ. მედიაში და მათ შორის „ახალ თაობაშიც" არაერთხელ დაიწერა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრად აშშ-ში საქართველოს ელჩი დავით ბაქრაძე მოიაზრებოდა. ბოლო დროს ივანიშვილი აღარც მისი მუშაობით არის კმაყოფილი და, არ არის გამორიცხული, ქართული დიპლომატია სხვას ჩააბაროს.

ზალკალიანი ჯერ არ წასულა, მაგრამ „ოცნებაში" უკვე საუბრობენ იმაზე, თუ სად იმუშავებს ის მომავალში. ამბობენ, რომ პრემიერის მრჩევლად იმუშავებს.

ისე, ვინც კი თანამდებობიდან გაუშვეს, ყველა პრემიერის მრჩევლად დაინიშნა. ეს მამუკა ბახტაძე, თავის მხრივ, მხოლოდ ივანიშვილის ჭკუაზე დადის და ამდენი მრჩეველი რა საჭიროა.




ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სერგეენკო იმიტომ მოხსნეს, რომ „ოცნება“ წარმატებულ ხალხს ებრძვის“

ნათია ხურცილავა

## დავით ჭიჭინაძე: „მამუკა ბახტაძე წლის ბოლომდე დარჩება“

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი **დავით ჭიჭინაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მინისტრთა კაბინეტში განხორციელებულ საკადრო ცვლილებაზე საუბრობს.

***– ბატონო დავით, თქვენ რას უკავშირებთ დავით სერგეენკოს თანამდებობიდან გადაყენებას? ამბობენ, რომ შიდა ინტრიგებს ვერ გაუძლო.***

– დავით სერგეენკოს ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს. ის არის ყველაზე წარმატებული მინისტრი და ამ დროს მისი მოხსნა, უბრალოდ, აუხსნელია. მე აქ ლოგიკას ვერ ვხედავ. ყველაზე ხელშესახები, რაც საზოგადოებამ მიიღო, ეს არის ჯანდაცვა. ამიტომ, ვერ ვხვდები, „ქართული ოცნება“ რა ფილოსოფიით ხელმძღვანელობს, როდესაც იღებს ასეთ საკადრო გადაწყვეტილებას. მერწმუნეთ, სერგეენკოს სახელს მიიღებს ის რეფორმა, რომელიც ჯანდაცვაში გატარდა.

***– პრემიერი რეფორმების მეორე ტალღაზე საუბრობდა.***

– და ვინმეს სჯერა ამის?!

***– მაშ რა მოხდა?***

– წარმატებულ ადამიანებს ებრძვიან. იმდენად მძლავრია უკვე წარუმატებლობა, რომ მაქსიმალურად ცდილობენ, წარმატებული ადამიანები შეავიწროონ. სიმართლე გითხრათ, არც იმას გამოვრიცხავ, რაც თქვენ თქვით, რომ სწორედ არსებულ დაჯგუფებებთან ბრძოლაში დამარცხდა სერგეენკო.

დიახ, მართლაც ვერ გაუძლო საშინელ ინტრიგებს. თავიანთ რიგებში წარმატებულ ადამიანებს ძირს უთხრიან, ინტრიგებს უწყობენ.

მე მას ვიცნობ, უმრავლესობის სხდომებზეც შევხვედრივარ და მისი აზრიც მომისმენია. ის მართლაც არის დამოუკიდებელი, ალბათ უფრო თავისუფალი ბუნების ადამიანი. საკმაოდ კრიტიკული და შეუვალი იყო. ნაკლებად ითვალისწინებდა ვიღაცების პირად ინტერესებს. მაქსიმალურად ცდილობდა, გამიჯვნოდა გარკვეულ ჯგუფებს.

უმრავლესობის ფორმატში ყოველთვის საინტერესო იყო დავით სერგეენკოსთან შეხვედრა. დავით სერგეენკო არასდროს არ იყო რომელიღაც ჯგუფთან ასოცირებული. ის ყოველთვის ამბობდა იმას, რასაც გულწრფელად ფიქრობდა და რისიც სჯეროდა. ის ყოველთვის თავის საქმეს აკეთებდა პირნათლად, ეს ვიღაცას მოსწონდა თუ არ მოსწონდა.

სწორედ აქედან გამომდინარე ზოგიერთებს ეს თვალში არ მოუვიდათ. საკმაოდ მაღალი დამოუკიდებლობის ხარისხით გამოირჩეოდა ყოველთვის. ეს ნამდვილად თვალშისაცემი იყო.

***– იმასაც ამბობენ, რომ თავის მაღალ რეიტინგს შეეწირა.***

– არ არის გამორიცხული. ხომ გეუბნებით, „ოცნებაში“ წარმატებულ ადამიანებს ებრძვიან. ყველა ნორმალური ჩაძირეს. ისედაც გასაგებია, რომ თავმოყვარე და პატიოსანი ადამიანი სიბინძურეში დიდხანს ვერ ძლებს. როგორც ჩანს, მხოლოდ ინტრიგანების ადგილი რჩება „ქართულ ოცნებაში“.

***– ახალ მინისტრზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?***

– არაფერი, გარდა იმისა, რომ ახალ მინისტრს გეოგრაფიული კავშირი გააჩნია, რაც, როგორც ჩანს, გადამწყვეტი აღმოჩნდა.

***– პრემიერის შეცვლას ელოდებით?***

– თუ „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებას აპირებს, მაშინ, ბუნებრივია, პრემიერსაც შეცვლის და სხვა ვიღაცებსაც. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების თარიღს



გადმოწევენ და ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს დანიშნავენ. თუ ვადამდელი არჩევნები არ იქნება, მაშინ ახალ წლამდე პრემიერი ბახტაძე არ შეიცვლება.

ახალი წლის შემდეგ კი იქნება ცვლილებები და 2020 წლის არჩევნებისთვის დაიწყებენ მზადებას სწორედ პრემიერისა და გუნდის ცვლილებით. ამომრჩევლის წინაშე ახალი შემადგენლობით გავლენ და საარჩევნო კამპანიასაც დაიწყებენ. ამიტომ, პრემიერის ცვლილებაც იმ დროისთვის გადაიწევს, რათა დაძველება არ მოასწროს, მაგრამ, მერწმუნეთ, არაფერი არ უშველით, არც ახალი სახეები და არც არავინ, ხალხი ისეა გამწარებული.

***– ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, ვინ შეიძლება იყოს საპარლამენტო სიის პირველი ნომერი?***

– ინფორმაცია ნამდვილად არ მაქვს. ალბათ სხვადასხვა ვარიანტები განიხილება.

***– ივანიშვილი?***

– ივანიშვილი არის ისედაც და ასედაც. მის გარდა არავინ არაფერს არ წარმოადგენს. ამიტომ, მას მოუწევს ისევ საკუთარ თავზე აღება ყველაფრის.

რაც შეეხება სიას, „ქართული ოცნება“ გააქრეს, გაზაფხულის თოვლივით გვადნება ხელში. ალბათ, ისევ ნაციონალებში მოძებნიან და პორტირება უფრო აქტუალური გახდება.

***– ოპოზიციისა და ხელისუფლების კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებით. ხელისუფლება დათმობს შერეულ სისტემას?***

– მე განსხვავებულად ვუყურებ ამ საკითხს – არჩევნებს არა სისტემები, არამედ ხალხის მხარდაჭერა იგებს. ისე, ხელისუფლებას ურჩევნია, ოპოზიციას ნაკლები სალაპარაკო დაუტოვოს და პროპორციულ სისტემაზე გადავიდეს, რადგან არც მაჟორიტარული არჩევნები იქნება „ოცნებისთვის“ ადვილი გასაირნება.

თუ არსებულ სისტემას დატოვებენ, მაშინ ბევრი ლეგიტიმური კითხვა გაჩნდება და „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკური არსებობა შეიძლება დაასრულოს ისე, როგორც თავის დროზე მოქალაქეთა კავშირმა დაასრულა. სხვათა შორის, ბოლო დროს „ქართულ ოცნებას“ მოქალაქეთა კავშირთან ძალიან ბევრი ანალოგია დაუგროვდა.

***– რას გულისხმობთ?***

– ისეთივე მორღვევას, ისეთივე დაშლას, ისეთივე დეზორგანიზებას, რაც ბოლოდროინდელ მოქალაქეთა კავშირთან აკავშირებს.

# კახა კოჟორიძე: „ლევან ვასაძემ პოლიტიკური აქტიურობა ლგბტ თემას მიაბა“

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი **კახა კოჟორიძე** პასუხობს.

***– ბატონო კახა, თბილისი პრაიდის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე რას იტყვით?***

– საქართველოს კონსტიტუციაში პირდაპირ წერია, რომ გამოხატვის თავისუფლება არის დაცული და უზრუნველყოფილი. მერე უკვე, როცა ადამიანები ირჩევენ ხელისუფლებას, ხელისუფლებას ევალება ამ კონსტიტუციის შესრულება. ის არის ვალდებული, მისი უფლება კი არ არის, ეს არის მისი ვალდებულება, რომ ერთი ან ათი ადამიანის ინტერესები დაიცვას, თუ ეს ადამიანი, კონსტიტუციიდან გამომდინარე, თავისუფლების რეალიზებას ითხოვს.

***– ითხოვს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას?***

– დიახ, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას. ზოგადად სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ არის შემთხვევები, როცა ის შესაძლებელია, შეიზღუდოს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში შეზღუდვის ის ფორმები, რომლებიც ანონსდებოდა, რომ გავარღვევთ კორდონს, გამოვიყვანთ და კომბლებით დავერევით, ყველანაირ ზღვარს სცდება. საზოგადოებაში არსებობენ ადამიანები, რომლებისთვისაც სხვების მოსაზრება ან ქცევა არის მიუღებელი. მათ შორის ლევან ვასაძე იქნება თუ სხვა ნებისმიერი ადამიანი, მათ აქვთ საკუთარი პოზიციის დაფიქსირების უფლება. მათ აქვთ უფლება, რომ არ მოსწონდეთ უმცირესობების ქცევა და ამის შესახებ თქვან. ესეც კონსტიტუციით მათი გარანტირებული უფლებაა.

***– თუმცა კანონის ჩარჩოებში უნდა მოექცნენ.***

– მაგას ვამბობ ზუსტად, მათ საზოგადოებას უნდა შესთავაზონ რაციონალური დისკუსია, რომ აი, ბატონებო, მათი ასეთი ქცევა არის ჩვენი სახელმწიფოსთვის და საზოგადოებისთვის საშიში ამიტომ, ამიტომ და ამიტომ. უნდა დაარწმუნონ საზოგადოება, რომ ეს მართლაც საშიშია და საზოგადოება თუ დარწმუნდა, შესაძლოა, მართლაც ჩათვალოს, რომ ეს საზოგადოებისთვის საშიშია და ამის შემდეგ შეეზღუდება ამ ადამიანებს გამოხატვის თავისუფლება, მაგრამ, სანამ კონსტიტუციაში ეს უფლება არსებობს, მანამდე მას სჭირდება დაცვა მოქალაქეების მხრიდანაც და, პირველ რიგში, სახელმწიფოს მხრიდან.

***– სახელმწიფო უნდა იყოს ამის გარანტორი?***

– დიახ, ის უნდა იყოს მთავარი გარანტორი, რომ ადამიანს ჰქონდეს უფლება, განახორციელოს საკუთარი უფლებები და არ შეეზღუდოს ისინი. უნდა დავიცვათ კონსტიტუცია. თუ ეს ვინმესთვის არის მიუღებელი, დანარჩენი საზოგადოება დაარწმუნონ არგუმენტებით, რატომ არის არის მიუღებელი და არა ემოციური და ირაციონალური შიშებით.

როდესაც გვაქვს კონსტიტუცია, ეს ადამიანები საკუთარ წესრიგს არ უნდა სთავაზობდნენ საზოგადოებას. ამით ეს ადამიანები ამბობენ, რომ არ აინტერესებთ, კონსტიტუციაში რა წერია, რადგან თავიანთი ხედვა აქვთ. ეს არის მიუღებელი ნებისმიერი სახელმწიფოსთვის.

***– ითქვა, რომ დესტაბილიზაციის გამოწვევას ცდილობენ, რომ ვასაძე პოლიტიკურად გააქტიურებას ცდილობს და ასე შემდეგ. ამაზე რას იტყვით?***

– 100%-იანი სიზუსტით ვერ ვისაუბრებ, მაგრამ ვსაუბრობ ჩემს ვარაუდებს. ადრეც იყო საუბრები იმაზე, რომ ბატონი ვასაძე აპირებდა რაღაც პოლიტიკურ აქტივობას. აპირებდა პოლიტიკური მოძრაობის დაფუძნებას და ასე შემდეგ. პრინციპში, ის რა პროცესებშიც ჩაერთო და ადრე რა განცხადებებსაც აკეთებდა, ეს უკვე პოლიტიკურ აქტივიზმს ნიშნავდა, მაგრამ მე ამ შემთხვევაში ვგულისხმობ წმინდა პოლიტიკურ მოქმედებას, პარტიის შექმნას, მოძრაობის შექმნასა და არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. როგორც ამბობდნენ, ის ამას 2020 წლისთვის გეგმავდა.

***– ეს გააქტიურება სწორედ ამას უკავშირდება?***

– მოგახსენებთ. პოლიტიკურ გაერთიანებას რომ ქმნი, იქ მომხრეების გაერთიანება საკმაოდ რთულია, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც არის სერიოზული ნიჰილიზმი მოსახლეობის მხრიდან პოლიტიკური პარტიების მიმართ და, მეორე მხრივ, არსებობს ძალიან ბევრი პოლიტიკური პარტია და ადამიანები დიდი ხალისით პოლიტიკურ პარტიებში არ შედიან, მათ სჭირდებათ რაღაცნაირი მუხტი, რომ ვიღაცას შეუერთდნენ.

შესაძლებელია, რომ ბატონი ვასაძე სწორედ ამ მუხტის გაჩენას ცდილობდა. ვასაძე რომ გამოსულიყო მოწოდებით, მე ვქმნი პოლიტიკურ პარტიას და შემომიერთდითო, ალბათ ძალიან დაბალი რაოდენობა თუ შეუერთდებოდა. მაგრამ, ვასაძე რომ გამოდის და აცხადებს, მე საქართველოს გადარჩენა მინდა ამ ტიპის ხალხისგან და ვქმნი საქართველოს გადარჩენის რაღაცა მაშველ რაზმებსო, ამას უკვე დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

***– ანუ გათვლა იყო პოლიტიკური მიზნებისთვის?***

– დიახ, მისი პოლიტიკური აქტივობა ამ თემას მიაბა. მეორე მხრივ, შესაძლოა, ეს ხელისუფლებას აწყობდეს კიდევაც. აწყობდეს იმიტომ, რომ ქვეყანაში არის ძალიან ბევრი მწვავე თემა, ფუნდამენტურად მწვავე თემა, სიღარიბე, ეკონომიკური განვითარება, სასამართლო, უამრავი სხვა თემა და ხდება ამ თემებიდან ყურადღების გადატანა.

დღეს ჩვენ არ გვესმის სხვა თემები, ეს თემა გახდა პირველი და ძალიან მწყდება გული რომ ასეა. ამ თემების გადაფარვა ხდება.

არ გამოვრიცხავ, იქ შეკრებილი ადამიანებიდან ვიღაცებს მართლა გულწრფელად მიაჩნდეთ, რომ ეს არის სწორი მოქმედება. ვფიქრობ, ამ პროცესს არგუმენტებით საუბარი სჭირდება, დღეს კი არგუმენტები არ არსებობს. ეს პროცესი არ უნდა გადაიზარდოს ძალადობასა და დაპირისპირებაში. საჭიროა რაციონალური დისკუსია და არგუმენტები.

# ირაკლი ოქრუაშვილმა პოლიციელებს მიმართა: „დაიცავით სახელმწიფოს ინტერესები!“

ლევან ვასაძისა და მისი მხარდამჭერების მიერ დაჯგუფების შექმნასა და ლგბტ თემის წინააღმდეგ გამოსვლებს პოლიტიკური მოძრაობა „გამარჯვებული საქართველოს“ დამფუძნებელი ირაკლი ოქრუაშვილი ეხმაურება. განცხადება ოქრუაშვილმა საგანგებო ბრიფინგზე გააკეთა და პროცესებს მართული უწოდა.

ოქრუაშვილი ამბობს, რომ ვითარების დაძაბვა ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდის გახანგრძლივებას უკავშირდება.

– ბოლო დღეების განმავლობაში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად აჩვენა თუ რა საფრთხეების წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა და როგორი სუსტია ჩვენი სახელმწიფოებრიობა. ქვეყანაში, სადაც კონსტიტუცია, კანონები და სახელმწიფო ინსტიტუტები ერთი ადამიანის ნება-სურვილზე და გემოვნებაზეა დამოკიდებული, მეორეხარისხოვანს ხდის დემოკრატიას და მის ფუნდამენტურ ღირებულებებს – სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას.

ჩვენ საქმე გვაქვს უფრო ღრმა პროცესებთან, ვიდრე ფასეულობათა ბრძოლასთან. განვითარებული მოვლენები ასევე გვაფიქრებინებს, რომ ამ ყველაფრის უკან შეიძლება იდგეს ერთი სცენარისტი, რომლის მიზანია ქვეყანაში არეულობის გამოწვევა, რამაც შესაძლოა, ხელისუფლებაში ყოფნა გაუხანგრძლივოს ივანიშვილს, – განაცხადა ოქრუაშვილმა.

ირაკლი ოქრუაშვილი ამბობს, რომ ქვეყანა ცივილიზაციასა და „ბნელ გვირაბს“ შორის არჩევანის წინაშე დგას. ის ხელისუფლებას კანონისა და კონსტიტუციის შესაბამისად მოქმედებისკენ მოუწოდებს.

– ჩვენ წინაშე დგას ამოცანა, დარჩება თუ არა საქართველო ცივილიზებული სახელმწიფოს ნაწილად, თუ ჩვენ აღმოვჩნდებით ბნელ გვირაბში, რომლის ბოლოში სინათლე არ ჩანს. მოვუწოდებთ ხელისუფლებას, არ დაუშვას პროცესების კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გასვლა, დაიცვას სახელმწიფოსა და სახელმწიფო ინსტიტუტების ინტერესები და ამ ინსტიტუციებმა დაიბრუნონ ერთი ადამიანის მიერ შუშის სასახლიდან წართმეული ძალაუფლება.

ასევე მივმართავთ თითოეულ პოლიციელს, დაიცვან სახელმწიფოს ინტერესი, მათი მუნდირის ღირსება, რათა ცალკეულმა ჯგუფებმა არ შეძლონ სახელმწიფოს დაკნინება და მათი მხრიდან სახელმწიფოს ინტერესების ხელში აღება, – განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.



# როგორ შეიძლება იქცეს 31%-იანი მხარდაჭერა 60%-ად?

## ვახტანგ ხმალაძე: „საარჩევნო სისტემა უსამართლოა. თავის დროზე კომპრომისს მრავალი მიტინგი და რკინიგზის გადაკეტვა დასჭირდა“

იაგო ნაცვლიშვილი

მმართველი გუნდის გარდა, პრაქტიკულად, სრული ოპოზიციური სპექტრი ითხოვს მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას უკვე 2020 წლის არჩევნებისთვისვე, თუმცა ჯერჯერობით ხელისუფლება დათმობაზე წასვლას არ აპირებს.

მაჟორიტარული სისტემის გაუქმების მთავარი მოტივაცია კი ის არის, რომ ის უსამართლო სისტემაა. მაგალითად, თუ რომელიმე პარტია, რომელიც არჩევნების დროს რეიტინგით აღემატება სხვა პარტიებს, პროპორციული წესით 31%-ს მოაგროვებს, ხოლო მეორე ადგილზე გასული ძალა 29%-ს მიიღებს, მაჟორიტარების ხარჯზე დიდი ალბათობაა იმის, რომ 31%-იანმა პარტიამ უმრავლესობა მოიპოვოს და მთავრობის ფორმირებაც მანვე მოახდინოს ერთპარტიულად.

რა ხარვეზებია საარჩევნო კანონმდებლობაში და როგორ შეიძლება მოხდეს, რომ ხელისუფლება კომპრომისზე წამოვიდეს? – ამ საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში კონსტიტუციონალისტი **ვახტანგ ხმალაძე** საუბრობს.

***– იმის გარდა, რომ მმართველი პარტიის გარდა, პრაქტიკულად, ყველა ითხოვს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გაუქმებას, კიდევ რა ხარვეზებია საარჩევნო კანონმდებლობაში, რაც საჭიროებს აუცილებელ ცვლილებებს?***

– რაც მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას ეხება, მე მგონი, ეს ჩვენი საზოგადოებისთვის გასაგებია და ცხადია, რატომაც არის ეს მოთხოვნა. რაც შეეხება დანარჩენს, აქ, ჩემი აზრით, არის არა იმდენად მოქმედი კანონის შეცვლაა აუცილებელი და ახალი ნორმების დამატება, არამედ პრობლემაა ამ კანონის ნორმების სწორად აღსრულება.

***– რა გაქვთ მხედველობაში?***

– კანონის ერთ-ერთი ნორმა ამბობს, რომ შესაძლებელია ხმების გადათვლა, ანუ მოთხოვნის საფუძველზე კომისია იღებს ვალდებულებას, გადაითვალოს კენჭისყრის შედეგები, მაგრამ ეს მოთხოვნა არ კმაყოფილდება. ეს ხდება უკვე მრავალი წლის განმავლობაში.



ეს მოთხოვნა ძალიან ხშირად წარმოიშობა ლოგიკურად. ხშირად ყოფილა შემთხვევები, როდესაც ხმების დათვლისას ერთი სუბიექტისათვის მიცემული ხმა ჩაუდვიათ მეორე სუბიექტის სასარგებლოდ, ან დათვლის შედეგები ოქმში არასწორად აისახა, ამის გამოსწორება ერთადერთი გზით არის შესაძლებელი და ეს არის ხმების გადათვლა. ასეთი მოთხოვნები, როგორც წესი, არ კმაყოფილდება ხოლმე.

***– არგუმენტი რა არის, როდესაც ამ მოთხოვნას არ აკმაყოფილებენ?***

– არ აკმაყოფილებენ და მორჩა. არ არის საკმარისი საფუძველიო და ამბობენ, რომ ყველაფერი სწორად იყო. არანაირად არგუმენტირებული არ არის ხოლმე.

***– თუ დარჩება მაჟორიტარული სისტემა და უმეტეს მაჟორიტარულ ოლქებში გაიმარჯვა ერთმა პარტიამ, ხოლო პროპორციული სისტემით, ვთქვათ, აიღო 31%, ხოლო მეორე ადგილზე გასულმა ძალამ 29%, ეს რა სურათს მოგვცემს?***

– ჩვენთან როდესაც არის შერეული საარჩევნო სისტემა, ამ სისტემის ორივე ნაწილი ერთიმანეთისგან დამოუკიდებლად ითვლება.

პროპორციული სისტემით პირველ ადგილზე გასულმა პარტიამ თუ აიღო 31%, ის მიიღებს 77 მანდატის 31%-ს ან ცოტა მეტს, რადგან ზღვარგადაულახავი პარტიების პროცენტები ემატებათ, ამიტომ 31%-ზე ცოტა მეტს მიიღებს, ისევე, როგორც სხვა სუბიექტები მიიღებენ მათ მიერ მიღებულ პროცენტზე ოდნავ მეტს. შესაბამისად, ეს მაჩვენებელი გამოდის დაახლოებით 23-24 მანდატი.

რაც შეეხება მაჟორიტარულ სისტემას, ამ სისტემით არჩევნები ტარდება ცალკე. თუ, ვთქვათ, იმ 73 მანდატიდან, რომელიც მაჟორიტარული წესით უნდა განაწილდეს, 60 მანდატი მოიგო პირველ ადგილზე გასულმა პარტიამ, მაშინ მისი მანდატების ჯამური რაოდენობა იქნება 83-84 მანდატი. შესაბამისად, გამოვა, რომ გამარჯვებულ პარტიას ექნება უმრავლესობა. რადგანაც უმრავლესობა ექნება, ის ერთპარტიულად ჩამოაყალიბებს მთავრობას.

ეს ყველანაირი შეფასებით უსამართლო შედეგია. ვინც კი ამ თემებთან დაკავშირებით ერკვევა, ყველა მიიჩნევს ამას, რადგან 31%-იანი მხარდაჭერის პირობებში ამ პარტიას შეხვდება 80 მანდატზე მეტი, რომელიც 150 მანდატიდან შეადგენს 60%-ს. გამოვა, რომ მაჟორიტარული სისტემის ხარჯზე ჯამურად მიღებული მანდატების რაოდენობა ორჯერ მეტია, ვიდრე ის, როგორი მხარდაჭერაც ამ პარტიას აქვს ამომრჩევლების მხრიდან.

***– ანუ ეს არის ამ სისტემის უსამართლობა?***

– დიახ, ეს არის ამ სისტემის უსამართლობა.

***– რა შემთხვევაში შეიძლება წავიდეს „ქართული ოცნება“ 2020-ში მთლიანად პროპორციულ სისტემაზე გადასვლაზე?***

– ამაზე პასუხი საკმაოდ რთულია, თუმცა გავიხსენებ ერთ ეპიზოდს. თავის დროზე, როდესაც პირველი მრავალპარტიული არჩევნები უნდა ჩატარებულიყო, მაშინდელი ხელისუფლება კომპრომისზე რომ წასულიყო, ამას დასჭირდა არა მხოლოდ მრავალი დიდი მიტინგის ჩატარება თბილისსა და სხვა ქალაქებში. საბოლოოდ მათი თანხმობა მას შემდეგ ითქვა, რაც სამტრედიასთან ზვიად ძიძიგურმა და მრგვალი მაგიდის წევრებმა რკინიგზა გადაკეტეს.

ასეთმა რადიკალურმა გზამ დაათმობინა კომუნისტურ ხელისუფლებას. იმ რკინიგზის გადაკეტვით მაშინ ჩვენ ყველამ ზიანი მივიღეთ, მხედველობაში მაქვს ეკონომიკური ხასიათის ზიანი. მაგრამ ამის ხარჯზე იქნა მოპოვებული პოლიტიკური გადაწყვეტილება და არჩევნები ჩატარდა უფრო ნორმალური სისტემით, ვიდრე ამის გაკეთებას კომუნისტები აპირებდნენ. თუმცა, ის უფრო ნორმალური სისტემა არის ის სისტემა, რომელიც დღემდე გვაქვს. ის უფრო ნორმალური სისტემა, საბოლოო ჯამში, ძალიან ცუდი და სახიფათო აღმოჩნდა ქვეყნისთვის. ახლა ამის შეცვლაა საჭირო.

***– როგორ?***

– რა აიძულებს ხელისუფლებას ამაზე დათანხმებას, ეს არ ვიცი. ერთადერთი არგუმენტი, რაც შემიძლია ვთქვა, არის ის, რომ გონივრული მიდგომის შემთხვევაში ამ მოთხოვნას ხელისუფლება უნდა დათანხმდეს. მაგრამ, ჯერჯერობით ჩვენ ამ გონივრულობას ვერ ვხედავთ, ხოლო ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი არ აპირებენ არანაირ დათმობაზე წასვლას.

ახლა უკვე საზოგადოებამ უნდა მიიღოს ამის თაობაზე გადაწყვეტილება, რა უნდა უყოს ისეთ პარტიას, რომელიც სწორი გადაწყვეტილების მიღებაზე კატეგორიულ უარს აცხადებს. ამომრჩეველმა თავისი გადაწყვეტილება ამასთან დაკავშირებით არჩევნებზე უნდა გამოხატოს, ანუ ასეთ პარტიას არ უნდა დაუჭიროს მხარი. ეს იქნება მათი არასწორი მოქმედების სასჯელი. მაგრამ ეს უკვე ჩვენს საზოგადოებაზეა დამოკიდებული.

# რამაზ საყვარელიძე: „ახალი ცოცხი“ რეფორმებისთვის, შესაძლოა, უკეთესი იყოს“

– დავით სერგეენკო მინისტრთა კაბინეტის ადრინდელი ცვლილებების დროსაც შედიოდა მინისტრთა კაბინეტში წინადადებით, გამიშვითო, მაგრამ მისი წასვლა არავის უნდოდა.

ამის შესახებ პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ „ინტერპრესნიუსთან“ ჯანდაცვის ყოფილი მინისტრის დავით სერგეენკოს თანამდებობის დატოვების შესახებ კომენტირებისას განაცხადა.

ექსპერტი აღნიშნავს, რომ დავით სერგეენკო ერთ-ერთი წარმატებული მინისტრი იყო.



– უცხოეთში ცდილობენ, რომ ადამიანი 5 წელიწადზე მეტ ხანს არ გაჩერდეს ერთ ადგილას იმიტომ, რომ მერე ბეზრდებათ ის სამუშაო, რასაც აკეთებენ და სიახლის განცდა და ინტერესი ეკარგება ამით. ასე რომ, თუ გადავითვლით, სერგეენკოს მინისტრად მოღვაწეობის, მინისტრად ყოფნის დროს, აშკარად გადააჭარბა 5 წელიწადს. რამდენადაც ვიცი, ადრინდელი კაბინეტის ცვლილებების დროს, სერგეენკო მინისტრთა კაბინეტში შედიოდა წინადადებით – გამიშვითო. კონკრეტული დრო არ მახსოვს, მაგრამ გამიგია სერგეენკოს წასვლა რომ უნდოდა და არ უშვებდნენ. გასაგებიცაა, რომ არ უშვებდნენ იმიტომ, რომ ერთ-ერთი წარმატებული მინისტრია, – განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

რაც შეეხება დავით სერგეენკოს არგუმენტაციას თანამდებობის დატოვებასთან დაკავშირებით, რომ მისი წასვლა ჯანდაცვის სისტემისთვის ცვლილებების მხრივ უკეთეს შედეგს მოიტანს, საყვარელიძე ამბობს, რომ თუკი დავუშვებთ იმას, რომ სერგეენკოს თანამდებობა მობეზრდა, შესაძლოა, „ახალი ცოცხი“ უკეთესი იყოს რეფორმებისთვის.

– თუ ვიგულისხმებთ, რომ შესაძლოა, მობეზრდა სერგეენკოს ერთი და იგივე ადგილას ყოფნა, ერთი და იგივე საქმის კეთება, მაშინ ახალი ცოცხი შეიძლება უკეთესი იყოს რეფორმებისთვის. ამდენად, სერგეენკოს არგუმენტის ინტერპრეტაცია უკვე გამართლებული იქნება, – აღნიშნა რამაზ საყვარელიძემ.

# გრიგოლ ვაშაძე: „ვასაძე პირდაპირი ინსტრუქციებით მოსკოვიდან მოქმედებს“



– ეს ადამიანი პირდაპირი ინსტრუქციებით მოსკოვიდან მოქმედებს. თუ ეტყვიან, ქუჩაში გადი და სცადე სიტუაციის არევაო, გავა და არევას ეცდება. ეტყვიან, სახიფათო სიტუაციაში აღმოვჩნდით და გაჩუმდიო, გაჩუმდება. ვერის ბაღში ათასი სისულელე ილაპარაკა, საქართველოს მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვა მოითხოვა, შემდეგ ნახა, რომ, რამდენიმე ასეული მარგინალის გარდა, არავინ გამოვიდა და ხალხს, რომელსაც აწუხებს შიმშილი, უმუშევრობა, არაადეკვატური ჯანდაცვა და განათლება, ვასაძის ბოდვა არ აინტერესებს. სახელმწიფო შეშინებული პასუხობს. ჩვენი პარტიის წევრებმა ბედოვლათ დეპუტატს პიჯაკი რომ გაუხიეს, ჩვენი პარტიის წევრები ციხეში ექვსი თვე ჩასვეს და როცა ვიღაც ბანდერლოგი შეიარაღებული დაჯგუფებების შექმნითა და ქალაქში ტერორის დაწყებით იმუქრება, ეუბნებიან, ალბათ, ასეა საჭიროო, – განაცხადა ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე გრიგოლ ვაშაძემ.

მეტრონომი

# კახაბერ ოქრიაშვილი: „ოცნება“ დავით სერგეენკოს საპარლამენტო არჩევნებისთვის ამზადებს“

ფრაქცია „ქართული ოცნება – რეგიონების განვითარებისთვის“ თავმჯდომარე კახაბერ ოქრიაშვილი „2020NEWS“– თან ადასტურებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ჯანდაცვის ყოფი; მინისტრ დავით სერგეენკოს „ქართული ოცნება“ საპარლამენტო არჩევნებისთვის ამზადებს. როგორც დეპუტატი გვეუბნება, „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემთხვევაში, შესაძლოა, სერგეენკო პარლამენტის თავმჯდომარედაც ვიხილოთ.

იქედან გამომდინარე, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ჯერ კიდევ დროა, ოქრიაშვილს ვკითხეთ, ადრე ხომ არ არის დავით სერგეენკოს თანამდებობიდან გადაყენება?! რაზეც დეპუტატი გვპასუხობს, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა დრო რჩება, შესაბამისად, „ქართულმა ოცნებამ“ მუშაობა აქტიურად უნდა დაიწყოს. მისივე თქმით, აღნიშნული მისი პირადი მოსაზრებაა და არანაირ კულუალურ ინფორმაციას არ ფლობს.

– დავით სერგეენკოს აშკარა წარმატებები და აშკარა შეცდომები ჰქონდა დაშვებული. მთავარია, რომ შეცდომები საბედისწერო არ აღმოჩნდეს.

სერგეენკოს თანამდებობიდან წასვლის შესახებ მიზეზს პრემიერი თავად განმარტავს. მე, პირადად, ვფიქრობ, რომ ბატონ დავითს პარტიულ თანამდებობაზე ვიხილავთ. ის მონაწილეობას მიიღებს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში.

მისი რეიტინგი პარტიულ რეიტინგსაც ასწევს. სერგეენკოს საზოგადოების ნდობა აქვს და რატომ არ უნდა იყოს ასე?! ეს ჩემი პირადი აზრია და კულუარებიდან არანაირ ინფორმაციას არ ვფლობ, – განაცხადა კახაბერ ოქრიაშვილმა.



# მამუკა მდინარაძე: „ეროვნული ფასეულობებისა და ტრადიციების დაცვას მაინცდამაინც რუსული დროშის ფრიალი არ სჭირდება“



ეროვნული ფასეულობებისა და ტრადიციების დაცვას მაინც დამაინც რუსული დროშის ფრიალი არ სჭირდება. ამას ევროპელ და დასავლელ პარტნიორებთან ერთად მშვენივრად ვახერხებთ. ეს ხაზი არასდროს გადაიხედება, – ასე აფასებს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე ლევან ვასაძის მიერ გაკეთებულ განცხადებებს.

მისი თქმით, საქართველო ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი აუცილებლად გახდება და ეს ეროვნული ფასეულობებისა და ტრადიციების ბოლომდე შენარჩუნების ფონზე მოხდება. მდინარაძის თქმით, აღნიშნულს არანაირი საფრთხე არ ემუქრება.

მისივე განმარტებით, ქვეყანაში ყოველგვარი ძალადობა არა მხოლოდ დაგმობილი იქნება, არამედ, აღკვეთილიც.

– არ არის აუცილებელი, ეროვნულ ინტერესებზე საუბრობდე და დასავლელი პარტნიორების წარმომადგენლებს ლანძღავდე. მშვენივრად ვახერხებთ და მომავალშიც მოვახერხებთ, ეროვნული ფასეულობებისა და ტრადიციების დაცვას. ეს დასავლელ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობის ფონზე მოხდება და ამ საკითხს არანაირი საფრთხე არ ემუქრება, – აცხადებს მამუკა მდინარაძე.

# რატომ მასპინძლობს საქართველო ქართველების მკვლელ რუს დეპუტატ გავრილოვს

შორენა მარსაგიშვილი

დღეს, 19 ივნისს, საქართველოში სტარტს აიღებს მართლმადიდებელ დეპუტატთა ასამბლეა. ამ ღონისძიებაზე დასასწრებად თბილისში რუსი დეპუტატებიც ჩამოვლენ. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ რუსი ჩინოსნების ვიზიტები ჩვეულ მოვლენად იქცა. თუმცა აქამდე საქართველოში ქართველების სისხლში ამოსვრილი რუსები ასე ღიად არ ჩამოსულან.

რუსეთის დელეგაციაში იქნება დეპუტატი სერგეი გავრილოვი, რომელიც თავისი ანტიქართული განცხადებებით გამოირჩევა. ჩვენზე მზე და მთვარე არც სხვა რუს ჩინოსნებს ამოსდით, მაგრამ გავრილოვი მათ შორის გამორჩეულია.

ის აცხადებს, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი დამოუკიდებელი ქვეყნებია და ისინი საქართველოს შემადგენლობაში არასდროს დაბრუნდებიან. რუსი დეპუტატი, რომელსაც თბილისში უნდა უმასპინძლონ, გვირჩევს, რომ ამ რეგიონების დაბრუნებაზე ფიქრს შევეშვათ.

მარტო განცხადებები რომ ჰქონოდა გაკეთებული, კიდევ შეიძლებოდა, თბილისში მისი სიფათის გამოჩენაზე თვალი დაგვეხუჭა, მაგრამ ამ ადამიანს ქართველების სისხლში აქვს ხელები გასვრილი და მისი აქ ჩამოსვლა, უბრალოდ, დაუშვებელია.

ერთმორწმუნე გავრილოვი 1992-1993 წლებში აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძოდა. ვინ იცის, მის ნასროლ ტყვიას რამდენი სამხედრო ანდა მშვიდობიანი მოსახლე შეეწირა.

ამბავმა, რომ სისხლიანი გავრილოვი თბილისს უნდა ეწვიოს, ოპოზიციის სამართლიანი პროტესტი გამოიწვია. ისინი ხელისუფლებას მოუწოდებენ, რომ რუს დეპუტატს, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს იარაღით ებრძოდა, ქვეყანაში შემოსვლის უფლება არ მისცენ.

მათი მოწოდებები ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მედიასთან საუბარში გაკეთებული კომენტარებიდან თუ ვიმსჯელებთ, მეოცნებეები არა თუ მზად არიან სისხლში ამოგანგლული რუსი დეპუტატის მისაღებად, არამედ შეიძლება, მისი პერსონალური სადღეგრძელოც კი დალიონ.



მართლმადიდებლური ასამბლეის მონაწილეებს საპატრიარქოშიც მიიღებენ და მაღალი იერარქები დალოცავენ კიდევაც. დალოცვა არც სისხლიან ერთმორწმუნე გავრილოვს მოაკლდება.

გავრილოვის მიმართ ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულება აღარ გვიკვირს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისინი თავად აკეთებენ ანტიქართულ განცხადებებს. „ოცნების“ ხელისუფლებაში თავდაცვის მინისტრის პოსტი ეკავა თინა ხიდაშელს, რომელიც წლების წინ ღიად ამბობდა, რომ საქართველომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა უნდა აღიაროს.

სულ რამდენიმე თვის წინ კი პრეზიდენტად დასვეს ქალი, რომელიც აფხაზეთს განგრენად მიიჩნევს.

მის მიერ ცხინვალზე დაწერილი წიგნი კი შეიძლება ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალმა საქართველოს წინააღმდეგ მტკიცებულებად გამოიყენოს.

აქედან გამომდინარე ხელისუფლების მდუმარება გასაგებია, მაგრამ ხალხისთვის რატომ არის მკვლელი დეპუტატის საქართველოში ვიზიტი სულ ერთი, ეს ცოტა გაუგებარია.

იმ ხალხის გულგრილობაც გაუგებარია, რომელიც ამ დღეებში კომბლებით შეიარაღდა და მზად იყო, რამდენიმე ჰომოსექსუალის მსვლელობის გამო ქვეყანაში არეულობა მოეწყო. ამ დღეებში მათგან უამრავი პატრიოტული განცხადება მოვისმინეთ. ეტყობა, პატრიოტიზმად ახლა სექსუალური უმცირესობების დევნა ითვლება, ხოლო საქართველოში თუ ქართველების მკვლელი რუსი დეპუტატი ჩამოვა, ეს დიდი ცოდვა არ არის.

# ლევან კალანდაძე: „მნიშვნელოვანია, ისეთი გადაწყვეტილება იქნეს მიღებული, რომელიც ბიზნესს წნეხად და ბარიერად არ შეექმნება“

ბიზნესომბუდსმენის მოადგილე ლევან კალანდაძის განცხადებით, ბიზნესომბუდსმენის აპარატს ყველა პრობლემურ საკითხზე კერძო სექტორთან აქტიური კომუნიკაცია აქვს. ასე გამოეხმაურა კალანდაძე ჟურნალისტებთან საუბრისას ფინანსთა მინისტრის ვანო მაჭავარიანის განცხადებას იმის შესახებ, რომ ბიზნესომბუდსმენმა ოქროს სიის შეღავათების გაუქმების თემაზე ბიზნესის ინფორმირებისთვის არაჯეროვანი სამუშაო შეასრულა.



ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი გადაწყვეტილება იქნეს მიღებული, პრემიერმაც ისაუბრა გუშინ ამის თაობაზე, რაც ბიზნესს წნეხად და ბარიერად განვითარების გზაზე არ შეექმნება. ამ თვალსაზრისით სწორად მიმაჩნია, რომ აქცენტი გავაკეთოთ ვადების გადახედვაზე. ამ გადახედვის პროცესში ბიზნესთან აქტიურ კომუნიკაციაზე და საბოლოო ჯამში, შედეგზე ორიენტირებული შედეგის მიღებაზე.

ბიზნესომბუდსმენის აპარატი ძალიან აქტიურად არის ჩართული ბიზნესებთან კომუნიკაციაში. ჩვენ ერთობლივად გავდივართ ყველა პრობლემურ საკითხს, ვაყალიბებთ წინადადებებს და ვახდენთ მათ პრომოციასა და ლობირებას ადმინისტრაციულ ორგანოებთან და არ ვთვლი, რომ ბიზნესომბუდსმენის აპარატმა დააკლო ძალისხმევა ამ და სხვა საკითხების ლობირებას ადმინისტრაციულ ორგანოებთან.

ამავე დროს, გავითვალისწინოთ ისიც, რომ ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, შემოსავლების სამსახურის სისტემაში არსებობენ სპეციალური უწყებები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან გადამხდელთა მომსახურეობაზე, მათ შორის მომსახურების დეპარტამენტი, რომელშიც ასობით ადამიანია დასაქმებული, – განაცხადა კალანდაძემ.

კითხვაზე, სავალუტო ფონდის ანგარიშის მიხედვით ან სხვა წყაროზე დაყრდნობით იცოდა თუ არა ბიზნესომბუდსმენის აპარატმა ოქროს სიის შეღავათების გაუქმების გეგმაზე, კალანდაძემ პასუხად განაცხადა, რომ იმ ჩანაწერს, რაც სსფ-ის ანგარიშში იყო მოცემული, სარეკომენდაციო ხასიათი ჰქონდა.

მე მიმაჩნია, რომ სავალუტო ფონდის ანგარიშებში, ის რაც იყო აქცენტი გათანაბრებაზე გაკეთებული, ეს იყო რეკომენდაცია. ეს არ იყო გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მყისიერად და ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში იქნა დაშვებული გარკვეული შეცდომები ბიზნესთან კომუნიკაციისას.

ის, რომ ორი წლის წინ რეკომენდაციების სახით იყო აღნიშნული გათანაბრების საკითხი საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებში, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბიზნესს უნდა სცოდნოდა კონკრეტული ვადა, როდის მოხდებოდა ეს ცვლილება – განაცხადა კალანდაძემ.

**BMG**

# გია ხუხაშვილი: „ასეთ მაღალ თანამდებობაზე საჩხერეს ვერ გასცდნენ“

– როდესაც ასეთ მაღალ თანამდებობაზე საჩხერეს ვერ გასცდნენ და ჯანდაცვის მინისტრად საჩხერის საავადმყოფოს ჯერ ერთი დირექტორი, მერე მეორე დირექტორი დაინიშნა, ეს აძლიერებს ივანიშვილის მიმართ პრეტენზიებს, რასაც შეიძლება არც ჰქონდეს ობიექტური საფუძველი, მაგრამ ეს ყველაფერი გვერდიდან ძალიან ცუდად გამოიყურება, – ასე აფასებს პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას ჯანდაცვის მინისტრის პოსტიდან დავით სერგეენკოს წასვლასა და ამ პოსტზე საჩხერის საავადმყოფოს დირექტორ ეკა ტიკარაძის დანიშვნას.

ხუხაშვილის თქმით, სერგეენკოსთვის პოლიტიკაში ყოფნა საერთოდ არ იყო კომფორტული.

– მას, როგორც ჩანს, თავისი პროფესია უყვარს და თავის პროფესიაში დაბრუნების სურვილი ყოველთვის ჰქონდა. ასე რომ, მე აქ სერიოზულ ინტრიგას ვერ ვხედავ. ადამიანურად აბსოლუტურად გასაგებია და მისი გადაწყვეტილება მისასალმებელიც არის. მრჩევლობა, ძირითადად, ფორმალური თანამდებობაა. მე, ვფიქრობ, მრჩევლად მისი დანიშვნა განპირობებული იყო იმით, რომ აქცენტი გაკეთებულიყო შემდეგზე, რომ ეს ადამიანი გუნდის მრჩევლად რჩება და არანაირი რეალური პრობლემა არ არის. რაც შეეხება ახალ მინისტრს, მასზე არაფრის თქმა არ შემიძლია, – განაცხადა ხუხაშვილმა.

ამასთან, პოლიტოლოგი არ იზიარებს არსებულ მოსაზრებას, რომ დავით სერგეენკო მმართველ გუნდში არსებულ „კლანს“ შეეწირა.

– მე არადამაჯერებლად მიმაჩნია სერგეენკოსთან დაკავშირებით ასეთი თეორიის განვითარება, იმიტომ, რომ სერგეენკო არასდროს იყო პოლიტიკურად ამბიციური ფიგურა. მის რეიტინგზე ეჭვიანობას უბრალოდ, აზრი არ ჰქონდა, იმიტომ, რომ მას არ ეტყობოდა ის ამბიცია, ეწარმოებინა პოლიტიკური თამაშები. ამ ტიპის პოლიტიკურად ნეიტრალური ადამიანები, როგორც წესი, არავის აღიზიანებენ. ამიტომ, უცნაური იქნებოდა , რომ რაღაც პოლიტიკურ შეტევასთან გვქონდეს საქმე. სხვა საკითხია ის, რომ შესაძლოა აქ რაღაც კარიერული ინტრიგა არსებობდეს, თუმცა ვიმეორებ, მაინც მგონია, რომ ეს სერგეენკოს პირადი გადაწყვეტილება იყოს. მე არც მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილი ყველაფერს მართავს, მაგრამ საზოგადოება ყველაფერზე პასუხისმგებლობას მას აკისრებს და აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ყველა გადაწყვეტილებას ივანიშვილი იღებს, – განაცხადა ხუხაშვილმა.

შეგახსენებთ, ჯანდაცვის მინისტრად ეკატერინე ტიკარაძე დაინიშნა. რაც შეეხება დავით სერგეენკოს, ის პრემიერ-მინისტრის მრჩევლის პოსტზე გადაინაცვლებს.



# ჯანდაცვის მინისტრის პოსტზე დავით სერგეენკო ეკატერინე ტიკარაძემ შეცვალა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის თანამდებობაზე ეკატერინე ტიკარაძე დაინიშნა.



ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ განაცხადა.

ტიკარაძემ დავით სერგეენკო შეცვალა, რომელიც ჯანდაცვის მინისტრად 2012 წლიდან მუშაობდა.

– დღეს ჩვენ გვაქვს ცვლილება, რომლის მიხედვითაც დავით სერგეენკო დაინიშნება ჩემს მრჩევლად და ჯანდაცვის მინისტრის პოსტს დაიკავებს ეკა ტიკარაძე. დარწმუნებული ვარ, დათო ჩემი მრჩევლის პოსტზე იქნება ისეთივე წარმატებული და მნიშვნელოვანი საქმეების გამტარებელი, როგორიც მინისტრად ყოფნის პერიოდში. დათო იყო, არის და იქნება ჩვენი პოლიტიკური გუნდის ერთგული წევრი და ის არის ჩვენი საუკეთესო კადრი. დარწმუნებული ვარ, იმ ერთობლივი საქმიანობა, რომელიც გვექნება მომავალში, ჩვენ უფრო მეტი საქმის გაკეთების საშუალებას მოგვცემს ჩვენი მოქალაქეებისთვის, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ახალი მინისტრის წარდგენისას.

ეკატერინე ტიკარაძე 2015 წლის სექტემბრიდან საჩხერის რაიონული საავადმყოფოსა და მმართველი არასამეწარმეო პირის, „დოსტაქარის“ დირექტორი იყო. ეკატერინე ტიკარაძე საჩხერის საავადმყოფოში 2009 წლიდან მუშაობდა, როგორც მიწვეული კონსულტანტი, მანამდე მუშაობდა გერმანიის ერთ-ერთ წამყვან კლინიკაში. ჯანდაცვის ახალი მინისტრი გერმანული Donau-Universitдt Krems-ის კურსდამთავრებულია.

დავით სერგეენკო პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის მრჩევლად დაინიშნება.

**კომერსანტი**

# რა ქონებით ტოვებს პოსტს დავით სერგეენკო

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ თანამდებობა დატოვა.

ეს განცხადება პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ რამდენიმე წუთის წინ, მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე გააკეთა. ბახტაძის თქმით, სერგეენკო მისი მრჩევლის პოსტს დაიკავებს. რაც შეეხება ჯანდაცვის ახალ მინისტრს, ამ პოსტზე პრემიერმა ეკატერინე ტიკარაძე წარადგინა, რომელიც აქამდე საჩხერის საავადმყოფოს დირექტორი იყო.

მნიშვნელოვანია, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან 2012 წლიდან – დღემდე, მთავრობის შემადგენლობა რამდენჯერმე შეიცვალა, თუმცა, ორი მინისტრი პოსტს უცვლელად იკავებდა. მათგან ერთ-ერთი სწორედ დავით სერგეენკო იყო.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, თუ რა ქონებას ფლობს პრემიერის მომავალი მრჩეველი დავით სერგეენკო.

2019 წლის 31 იანვარს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ჯანდაცვის მინისტრის უძრავ-მოძრავი ქონება გასულ წელთან შედარებით არ შეცვლილა. სერგეენკო კვლავ ფლობს 82 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელ სახლს თბილისში და 1.500 კვ. მეტრის მიწის ნაკვეთს სოფელ ბულაჩაურში. მასვე ეკუთვნის მსუბუქი ავტომობილი ToyotaPrado.

მინისტრს დეკლარაციის შევსების მომენტში სხვადასხვა საბანკო ანგარიშზე 5.900 დოლარი და 7.445 ლარი ჰქონდა. ამასთან, მისმა შემოსავალმა მინისტრის პოსტზე წლიურად 75.000 ლარი შეადგინა.

დავით სერგეენკო მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად ცხოვრობს. ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, მისი მეუღლე ფლობს 1.997 კვ. მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთს დუშეთის რაიონის სოფელ ქუზრიაანთკარში, რომელიც 2013 წელს საჩუქრად მიიღო. ცნობისთვის, სერგეენკო ჯანდაცვის მინისტრის პოსტს 2012 წლის 25 ოქტომბრიდან იკავებს, მანამდე კი, 2006 წლიდან, საჩხერის სამედიცინო ცენტრის გენერალური დირექტორის თანამდებობას იკავებდა.

**bpn**

# „პარლამენტი მკვლელ ბიზნესს ლობირებს“



პარლამენტი თამბაქოს ინდუსტრიის მორიგ დაკვეთაზე მუშაობს. ამის შესახებ განცხადებას თამბაქოს კონტროლის ალიანსი ავრცელებს. მათივე ცნობით, საკანონმდებლო ორგანო ბიზნესის ინიციატივით მომზადებულ ცვლილებათა პროექტს განიხილავს. ალიანსის ცნობით, პროექტის დამტკიცება თამბაქოს ახალი, ტექნოლოგიური ნაწარმის, ე.წ. ელექტრონული და გასახურებელი თამბაქოს (აიქოსის) რეალიზაციას დაეხმარება. ამასთან, როგორც ალიანსში აცხადებენ, ამ ცვლილების საჭიროება კანონპროექტის მიხედვით, ბაზარზე აღნიშნული პროდუქციის მიმართ მზარდმა მოთხოვნამ გამოიწვია, თუმცა, მათივე შეფასებით, მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია, თუ რის ხარჯზე მოხდა მოთხოვნის ზრდა.

„ბიზნესპრესნიუსი“ თამბაქოს კონტროლის ალიანსის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

– პარადოქსია, როდესაც „თამბაქოს კონტროლის კანონის“ მიღების და აღსრულების მიზანია, თამბაქოს ნებისმიერი სახის ნაწარმის მოხმარება შეამციროს, პარლამენტში თამბაქოს ინდუსტრიის კეთილდღეობაზე ზრუნავენ და აღარც მალავენ, რომ მკვლელ ბიზნესს ლობირებენ.

გაუგებარია კანონმდებლების მიდგომა – ბაზარზე ელექტრონულ და გასახურებელ თამბაქოზე მოთხოვნა გაიზარდა და ამ პროცესს ხელს უწყობთ? თუ არ იციან, არ უნდა იკითხონ რის ხარჯზე, ვის ხარჯზე იზრდება მოთხოვნა? ან ყველაფერი კარგად იციან და ორმაგ თამაშს ღიად ეწევიან? კანონი ვითომ საზოგადოების ჯანმრთელობაზე ზრუნვის მიზნით მიიღეს, რომ შემდგომ, ინდუსტრიის ინტერესების მიხედვით, ნელ-ნელა დაარღვიონ?

ფაქტია, თამბაქოს ინდუსტრია კანონის ძალაში შესვლიდან განსაკუთრებით ინტენსიურად ცდილობს მის შესუსტებას. ამ კონკრეტული საკანონმდებლო ინიციატივის პარლამენტში გატანის მცდელობა კი ერთი წლის წინ დაიწყო.

2018 წელს „საქართველოს ბიზნესასოციაციამ“ პარლამენტში წარადგინა საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიზანიც იყო თამბაქოს კონტროლის ეფექტური კანონის დარღვევა. ასოციაცია, რომლის წევრი თამბაქოს საერთაშორისო კომპანია „ფილიპ მორისია“, ელექტრონული სიგარეტებისა და ახალი პროდუქტების (ე.წ. გახურებადი თამბაქოს ნაწარმის) მიმართ განსხვავებული და ლიბერალური მიდგომების გატარებას ითხოვდა. კერძოდ, შეფუთვა-მარკირების გამარტივებას, პოპულარიზაციისა და მოწევის/გასინჯვის დაშვებას შესაბამის დახურულ სავაჭრო სივრცეებში და ა.შ. 2018 წლის 4 დეკემბერს, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტმა კენჭისყრაზე დააყენა „საქართველოს ბიზნეს ასოციაციის“ მიერ წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელმაც კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა.„ფილიპ მორისმა“ და სხვა საერთაშორისო თამბაქოს კომპანიებმა ფარ-ხმალი არ დაყარეს და შუამავლები აღმასრულებელი მთავრობის მაღალ ეშელონებში აფრინეს. შედეგსაც მიაღწიეს, რადგან აღმასრულებელი ხელისუფლება თამბაქოს ინდუსტრიის გავლენით, ფაქტობრივად ერთი წელია არღვევს „თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის“ მეხუთე მუხლის მესამე პუნქტით და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით დავალებულ მოთხოვნებს. კერძოდ, მთავრობა ვალდებული იყო 2018 წლის 1 ივლისამდე დაემტკიცებინა ნორმატიული აქტი თამბაქოს ინდუსტრიის და მათთან დაკავშირებული პირების ან ორგანიზაციების თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის შემუშავებაში, გადაწყვეტილების მიღებასა და განხორციელებაში მონაწილეობის დაუშვებლობისა და ურთიერთობების გამჭვირვალობის შესახებ. მოკლედ რომ ვთქვათ, კონკრეტული თანამდებობის პირები და საჯარო მოხელეები ვალდებული არიან, განაცხადონ, როდის და რა ფორმით ჰქონდათ კავშირი თამბაქოს ინდუსტრიასთან, რათა ამ კავშირმა სამსახურეობრივად დაკისრებული უფლებამოსილების გადამეტება არ აიძულოს.

ამ ნორმატიული აქტის პროექტი გასულ წელსვე შეთანხმდა ყველა დაინტერესებულ უწყებასთან და მთავრობას დასამტკიცებლად გადაეგზავნა, თუმცა, ერთი წელია თაროზეა შემოდებული, რაც კორუფციული გარიგების ეჭვს აჩენს. ამ ეჭვს აღრმავებს „ფილიპ მორისის“ შეთხზული საკანონმდებლო ინიციატივის მთავრობაში გადანაცვლება, რასაც თამბაქოს კონტროლის ალიანსის და ჯანდაცვის სფეროში ევროკავშირის უმაღლესი კომისრისა და თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის სამდივნოს ხელმძღვანელის მწვავე განცხადებები მოჰყვა და მთავრობამ თამბაქოს ინდუსტრიის ინიციატივა აღარ განიხილა, მაგრამ პროექტმა უმნიშვნელო სახეცვლილებით კვლავ პარლამენტში გადაინაცვლა. მისი მფარველობა ითავეს დეპუტატებმა: ირაკლი (დაჩი) ბერაიამ, დავით სონღულაშვილმა, სულხან მახათაძემ, ირაკლი მეზურნიშვილმა და გურამ მაჭარაშვილმა.

განსაკუთრებით დასანანია, რომ პარლამენტარები ასეთ ნაბიჯს დგამენ ჯანდაცვისა და სურსათის უსაფრთხოების საკითხებში ევროკომისრის ვიტენის ანდრიუკაიტისის საქართველოს მთავრობისადმი მოწოდების შემდეგ, უფრო გაამკაცრონ ელექტრონული სიგარეტისა და ახალი მოწყობილობების რეგულირება, რადგან, ევროკომისრის მოსაზრებით, ახალი ტიპის მოწყობილობები განსაკუთრებით მიმზიდველია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, შესაბამისად, მათზე მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს, – აღნიშნულია განცხადებაში.

ამასთან, თამბაქოს კონტროლის ალიანსის ინფორმაციით, ელექტროსიგარეტები და ე.წ. გახურებადი თამბაქოს პროდუქტები საერთოდ აკრძალულია მსოფლიოს 48 ქვეყანაში. ალიანსი მიიჩნევს, რომ: „წარმოდგენილი კანონპროექტი თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციისა და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება, რადგან ის მომზადებულია უშუალოდ თამბაქოს ინდუსტრიისა და მათთან დაკავშირებული პირების ჩართულობით და მათთან კონსულტაციებით. შესაბამისად, კანონპროექტიდან უნდა ამოიღონ ელ. სიგარეტთან და ახალი ტიპის თამბაქოს ნაწარმთან დაკავშირებული რეგულაციები და მათზე, როგორც თამბაქოს პროდუქტზე ისედაც ვრცელდება ყველა სახის რეგულაცია, მათ შორის რეკლამა/პოპულარიიზაციის სრულად აკრძალვა, შეფუთვა-მარკირების წესები, მოწევის აკრძალვა საზოგადოებრივ შენობებში და ა.შ.; საქართველო გამოცხადდეს არამოსაწევი თამბაქოსა და თამბაქოს ახალი ნაწარმისაგან თავისუფალ ზონად“.

მათივე შეფასებით, თამბაქოს კონტროლის ახალი რეგულაციები ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული და კარგად აღსრულებადი რეგულაციებია, რაც კი საქართველოს პარლამენტს ოდესმე მიუღია. ამ მოწვევის პარლამენტის პრინციპული პოზიციების გამო, შესაძლებელი გახდა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სასიცოცხლო ინტერესების ბოლომდე გატანა და თამბაქოს ინდუსტრიის ინტერესების ლობისტებს არ უნდა შეეწიროს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მიღწევები.

**bpn**

# 2015–2017 წლებში შემოწმებული სტომატოლოგიური დაწესებულების 54% კონტროლის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული ინფექციის პრევენციისა და კონტროლის ეფექტიანობის ანგარიშის თანახმად, 2015-2017 წლებში განხორციელებული შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ შემოწმებული სტომატოლოგიური დაწესებულების 54% ინფექციის პრევენციისა და კონტროლის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. შემოწმება რეგულირების სააგენტომ ჩაატარა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დოკუმენტის თანახმად, ინფექციის პრევენციისა და კონტროლის სისტემის მიმართულებით ტექნიკური რეგლამენტის ცალკეული მოთხოვნის ყველაზე მეტი დარღვევა გამოვლინდა დეზინფექციისა და სტერილიზაციის (მრავალჯერადი გამოყენების სამედიცინო იარაღების, საგნებისა და მასალებისათვის) სათანადო რეჟიმითა და აღრიცხვით უზრუნველყოფის პროცესში: 2015 წელს აღნიშნული მოთხოვნა დარღვეულია შემოწმებული სტომატოლოგიური დაწესებულებების 55%-ში, 2016 წელს - 48%-ში და 2017 წელს - 51%-ში.

ამასთან, ანგარიშში ნათქვამია, რომ სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის სავალდებულო მოთხოვნად არ არის გათვალისწინებული მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიაზე წვდომა, რაც შესაძლოა ნოზოკომიური ინფექციების გამოვლენის და დაფიქსირების შესაძლებლობას ამცირებდეს.

რაც შეეხება სტაციონარული დაწესებულებების ინფექციის პრევენციისა და კონტროლის სისტემის კონტროლის ნაკლოვანებებს, სტაციონარულ დაწესებულებაზე ნებართვის გაცემის ეტაპზე რეგულირების სააგენტო სათანადოდ ვერ ახდენს ინფექციის პრევენციისა და კონტროლის სისტემის მოთხოვნების შეფასებას. კერძოდ, რეგულირების სააგენტო ნებართვის გაცემის ეტაპზე არ სწავლობს, აქვს თუ არა სტაციონარულ დაწესებულებას ინფექციის პრევენციისა და კონტროლის სისტემის პროგრამა და მორგებულია თუ არა აღნიშნული პროგრამა კონკრეტულ სტაციონარულ დაწესებულებაზე.

– მაგალითად, 2015 წლის ნოემბრიდან 2018 წლის მაისის ჩათვლით ქვეყანაში ფუნქციონირება დაიწყო 35-მა სტაციონარულმა დაწესებულებამ, მათგან 21 დაწესებულებას არ ჰქონდა წარმოდგენილი პროგრამა, ხოლო 14-ის მიერ წარმოდგენილი პროგრამა შაბლონურია და არ არის მორგებული კონკრეტულ დაწესებულებას. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის ოქტომბრიდან სტაციონარული დაწესებულებების, დაახლოებით, 43%-მა საქმიანობა დაიწყო როგორც ინფექციის პრევენციისა და კონტროლის პროგრამის, ისე ხარისხის ინსტრუქციის გარეშე.



რეგულირების სააგენტოს მიერ სტაციონარული დაწესებულებების კონტროლი ხორციელდება დეტალური ინსტრუქციის გარეშე, სადაც განსაზღვრული იქნებოდა, როგორ უნდა შემოწმდეს სანებართვო პირობების თითოეული მოთხოვნა.

შედეგად, რეგულირების სააგენტოს მიერ არასათანადოდ დანერგილი კონტროლის მექანიზმებისა და მეთოდოლოგიის არარსებობის პირობებში, იზრდება რისკი, რომ სრულად ვერ გამოვლინდება სტაციონარულ დაწესებულებებში არსებული ინფექციის პრევენციისა და კონტროლის სისტემის ნაკლოვანებები“, – ნათქვამია სახელწიფო აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის ანგარიშში.

**კომერსანტი**

# საქართველოში კერძო სამედიცინო დაზღვევით მოსახლეობის 15 პროცენტი სარგებლობს



2019 წლის 31 მარტის მონაცემებით, საქართველოში კერძო სამედიცინო დაზღვევით 563,082 ადამიანი სარგებლობს, რაც მოსახლეობის 15%-ს შეადგენს. მონაცემებს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, სამედიცინო ანუ ჯანმრთელობის დაზღვევით მოსარგებლეთა რაოდენობა წინა წლის იგივე პერიოდში 554,070 ადამიანს შეადგენდა, რაც მოსახლეობის 14,9%-ია.

რაც შეეხება დაზღვევის სხვა სახეობებს: 2019 წლის 31 მარტის მონაცემებით, ქვეყანაში რეგისტრირებული 1 მილიონ 300 ათასი ავტომობილიდან დაზღვეული მხოლოდ 79,672-ია, რაც მთელი ავტოპარკის 6%-ს შეადგენს. წინა წლის იმავე პერიოდში დაზღვეული ავტომობილები მთელი ავტოპარკის 5,5%-ს შეადგენდა.

171,526-ია ქონების დაზღვევით მოსარგებლეთა რაოდენობა, რაც წინა წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე დაახლოებით 40 ათასით მეტია.

2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით, საქართველოში 17 სადაზღვევო კომპანიაა რეგისტრირებული.

**1tv**

# ცქიტიშვილი იმედოვნებს, რომ ანაკლიის პორტისთვის თანხების მოძიებაზე შეთანხმება შედგება



ანაკლიის განვითარების კონსორციუმსა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულების, ე.წ. ფინანსური დახურვის თარიღი გადავადდება 2019 წლის 31 დეკემბრამდე, – განაცხადა დღეს, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, საქართველოს ვიცე-პრემიერმა მაია ცქიტიშვილმა.

– ეს ვადა თავდაპირველად განისაზღვრებოდა 2017 წლის 15 აგვისტოთი და შემდგომში ვადის არაერთხელ გახანგრძლივება მოხდა. იმ პროცესის გათვალისწინებით, რომელიც ამჟამად წარმოებს საქართველოს მთავრობას, ანაკლიის განვითარების კონსორციუმსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს შორის, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და ჩვენ ვადას ვახანგრძლივებთ წლის ბოლომდე. იმედი გვაქვს, ამ პერიოდის განმავლობაში, როგორც მთავრობასა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს შორის შედგება შეთანხმება, ასევე ინვესტორი და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი მოახერხებენ შეთანხმებას იმ ძირითად ვალდებულებებზე, რაც იქნება წინაპირობა ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და ჩვენთვის პრიორიტეტული პროექტისთვის ფინანსური რესურსის მოსაძიებლად, – აღნიშნა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა.

**კომერსანტი**

# „ქვეყანამ უნდა გამოიყენოს ბუნებრივი რესურსები, რაც საქართველოს ღმერთმა მისცა“



– ქვეყანამ უნდა გამოიყენოს ბუნებრივი რესურსები, რაც ღმერთმა მისცა საქართველოს.

ამის შესახებ სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულმა წარმომადგენელმა მერსი ტემბონმა bm.ge-ს საქართველოში დიდი ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებული კითხვის საპასუხოდ განუცხადა.

მერსი ტემბონის თქმით, წყლის ენერგია უფრო სუფთა და უფრო იაფია.

– საუკეთესო იქნება, რომ ქვეყანამ გამოიყენოს ბუნებრივი რესურსები, რაც ღმერთმა მისცა საქართველოს. მნიშვნელოვანია წყლის რესურსის გამოყენება ენერგიის საწარმოებლად. ეს პირველ რიგში წარმოადგენს სუფთა ენერგიას, რომელიც ბევრად უფრო იაფია, ვიდრე თბოსადგური.

არსებობს საკმარისი ენერგია და აუცილებლად უნდა უზრუნველვყოთ მისი გამოყენება ექსპორტისთვის და დავაგენერიროთ შემოსავალი. აუცილებელია, ბუნებრივი რესურსების გამოყენება, – აცხადებს მერსი ტემბონი.

**BMG**

# „ვიღაცამ გამიზნულად ააფეთქა რაღაც და ამიტომ გაჩნდა ხანძარი“

## აფეთქება ქუთაისში ოჯახურ კონფლიქტს უკავშირდება

გუშინ, 18 ივნისს, გამთენიისას ქუთაისში აფეთქება მოხდა.

აფეთქება ავტომშენებლის ქუჩაზე მდებარე სახლის მე-2 სართულზე მოხდა, რის შემდეგაც გაჩნდა ხანძარი. ხანძრის შედეგად 7 ადამიანი დაშავდა.

აფეთქების შედეგად სულ 7 ადამიანი დაშავდა, მათ შორის ორის მდგომარეობა უკიდურესად რთულია. ისინი თბილისის დამწვრობის ცენტრში გადმოიყვანეს. მათგან ერთ-ერთი 10 წლის გოგონაა, ხოლო მეორე – 30 წლამდე მამაკაცი.

სავარაუდოდ, ეს არის ის პირი, რომელმაც ხანძარი საცხოვრებელ კორპუსში განზრახ გააჩინა, რასაც აფეთქება მოჰყვა.

არსებული ინფორმაციით, აფეთქება ოჯახურ კონფლიქტს უკავშირდება. ძლიერი აფეთქების მიზეზი, სავარაუდოდ, ქონებრივი დავა გახდა. მეზობლები ყვებიან, რომ ადამიანები, რომლებიც ბინაში იმყოფებოდნენ, მოსკოვიდან რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდნენ. გუშინ გამთენიისას კი, ბათუმიდან ჩამოსული, მოდავე ნათესავი ბინაში მივიდა, რასაც ხმაური და აყალმაყალი მოჰყვა.




მეზობლებმა გაიგეს, როგორ ყვიროდნენ, რომ სახლში ბენზინია, რის შემდეგაც აფეთქების ხმა გაისმა.

– სავარაუდოდ, ვიღაცამ კონკრეტულად და გამიზნულად ააფეთქა რაღაც და აქედან გამომდინარე გაჩნდა ხანძარი. შედეგად დაიწვა და დაზარალდა რამდენიმე ოჯახი. მათთან კომუნიკაცია მქონდა, ვინც უშუალოდ შეესწრო ამ ფაქტს და ასე რომ ვთქვათ, თვითმხილველები იყვნენ. სავარაუდოდ, გაზი არ იქნებოდაო და ეს იყო ვიღაცის გამიზნული ქმედება, – განაცხადა დაშავებულის მეგობარმა.

დაზარალებულთა ნაწილი ქუთაისის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

– მდგომარეობა არის მძიმე, კრიტიკული და დანარჩენი მკურნალობა მომზადდება ახლა თავის გამოკვლევებით. დამწვრობები სხვა და სხვა ხარისხის არის. არის ტოტალური დამწვრობა, 76 პროცენტი აქვს ერთ ქალბატონს, მეორეს აღენიშნება 56 პროცენტი და მესამეს – 30 პროცენტი, – განაცხადა გუშინ შუადღეზე ქუთაისის თერმულ დაზიანებათა ცენტრის ქირურგმა გიორგი აბესაძემ.

გუშინვე სამართალდამცველებმა ის ტაქსის მძღოლი გამოკითხეს, რომელმაც 30 წლამდე მამაკაცი ბათუმიდან ქუთაისში ჩაიყვანა.

ავთანდილ ბოლქვაძის თქმით, პიროვნებამ, რომელიც მან ბათუმიდან ქუთაისში წაიყვანა, გზად, ბენზინგასამართ სადგურზე, საწვავი შეიძინა.

დანიშნულების ადგილას მიყვანის შემდეგ მამაკაცმა მძღოლს კორპუსთან დარჩენა სთხოვა და ფულის ჩამოტანას დაჰპირდა და კორპუსში შევიდა.



ტაქსის მძღოლის ინფორმაციით, ავტომშენებელთა ქუჩაზე ძლიერი აფეთქების ხმა მალევე გაისმა.

– ბათუმიდან ქუთაისის მიმართულებით წამოვიყვანე მგზავრი, რომელმაც შეიძინა საწვავი, ბენზინი. როცა ჩამოვიყვანე და შევიდა შენობაში, მოხდა აფეთქება. სხვა არაფერი ვიცი. საწვავი ბენზინგასამართ სადგურზე შეიძინა, – განაცხადა ავთანდილ ბოლქვაძემ და აღნიშნა, რომ მისი მგზავრი ფხიზელი იყო.

ქუთაისში მომხდარ აფეთქებაზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება ოჯახში ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით დაიწყო.

# მთავარმა ბუღალტერმა 2 მილიონ ლარზე მეტი მიითვისა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისების ფაქტზე ერთი პირი დააკავა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, რომელიც მუშაობდა ერთ-ერთ კომპანიაში მთავარი ბუღალტრის თანამდებობაზე და სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში გააჩნდა წვდომა კომპანიის საბანკო ანგარიშებზე, განახორციელა ფინანსური ტრანზაქციები, თითქოსდა, ხდებოდა არსებული საგადასახადო ვალდებულებებისა და პარტნიორი კომპანიების დავალიანებების დაფარვა, რითაც ნიღბავდა კომპანიის კუთვნილი ფულადი თანხების მითვისების ფაქტებს.

აღნიშნული გზით, ბრალდებულის მიერ, ჯამში, მითვისებულ იქნა კომპანიის კუთვნილი 2.258.961 ლარი.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 11 წლამდე ვადით.

# ბათუმის ბულვარში პოლიციამ 16 წლის ახალგაზრდა ცემა

ბათუმის ბულვარში 16 წლის ახალგაზრდასა და დაცვის თანამშრომელს შორის ინციდენტი მოხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მოზარდმა დაცვის თანამშრომელს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

უწყებაში ამბობენ, რომ მოზარდი დაცვის თანამშრომლების მითითებას არ დაემორჩილა, რაც ველობილიკზე გადასვლას უკავშირდება.

თავის მხრივ, მოზარდის მეგობრები ამბობენ, რომ ბულვარის დაცვის თანამშრომლები 16 წლის ბიჭს უხეშად ესაუბრნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ.

მათივე ინფორმაციით, ინციდენტისას 16 წლის ბიჭი შეუძლოდ გახდა და იგი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

როგორც ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში აცხადებენ, არასრულწლოვანი საავადმყოფოში სასწრაფო დახმარებამ მიიყვანა. მას გამოკვლევები უტარდება.

ექიმების ინფორმაციით, პირველადი დათვალიერების შედეგად მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება სსკ-ის 353-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც პოლიციელის მიმართ წინააღმდეგობას, მუქარას ან ძალადობას გულისხმობს.

# ფოთში დაკავებულ ტაეკვანდოს მწვრთნელებს 4.000-ლარიანი გირაო შეეფარდათ

ფოთში დაკავებულ მწვრთნელებს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით 4.000-ლარიანი გირაო შეუფარდა.

აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით ფოთის საქალაქო სასამართლომ იმსჯელა. მწვრთნელები ბრალს მხოლოდ ნაწილობრივ აღიარებენ.

საქმე ეხება 16 ივნისს მომხდარ ინციდენტს, რომელიც ფოთში ტაეკვანდოს ღია ჩემპიონატზე მოხდა.

ერთმანეთს ტაეკვანდოს ფედერაციის გამგეობის წევრები და მწვრთნელები დაუპირისპირდნენ.

მწვრთნელების განცხადებით, გამგეობის წევრებმა პროვოკაცია მოაწყვეს, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. სამართალდამცველებმა სამი მწვრთნელი დააკავეს.

შემდეგი სასამართლო სხდომა 26 ივნისს არის დანიშნული.

# „ბასიანიდან“ გადაყვანილი 18 წლის ბექა ზ. ამ დრომდე უგონოდაა

## რა მოხდა კლუბში?

მოიწამლნენ თუ არა გაურკვეველი ნივთიერებით ან ალკოჰოლით ახალგაზრდები „ბასიანში“? – „ფორტუნა“ ინფორმაციის გარკვევას სხვადასხვა უწყებაში ეცადა.

„ფორტუნას“ ინფორმაციით, კლუბიდან საავადმყოფოებში 14 ივნისს 15 ახალგაზრდა მოხვდა – ძირითადად მოწამვლის ნიშნებით. თუმცა, კლინიკაში, შსს-ში და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში ახალგაზრდების ამ რაოდენობაზე არ საუბრობენ.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურში „ფორტუნას“ განუცხადეს, რომ კლუბიდან მათ გერმანულ ჰოსპიტალში მხოლოდ 3 ადამიანი გადაიყვანეს. კითხვაზე, ჰქონდათ თუ არა მათ მოწამვლის ნიშნები, ცენტრში აცხადებენ, რომ სასწრაფო დახმარების ბრიგადა დიაგნოზს არ სვამს.

რაც შეეხება ჰოსპიტალს, აქ „ფორტუნას“ განუცხადეს, რომ 14 ივნისს კლინიკაში 3 ახალგაზრდა შევიდა, მათგან 2 სახლშია გაწერილი, ხოლო 1 უგონო მდგომარეობაში რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება და მისი მდგომარეობა არ შეცვლილა.

შსს-ში აცხადებენ, რომ მომხდარზე გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. გამოძიების პირველადი ინფორმაციით, 2000 წელს დაბადებული ბექა ზ.-მ კლუბში გაურკვეველი ალკოჰოლური სასმელი მიიღო, რის შემდეგადაც გონება დაკარგა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისში, ქართულ-გერმანულ ჰოსპიტალში, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფის მიერ 2000 წელს დაბადებული ბ.ზ.-ს უგონო მდგომარეობაში შეყვანის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სსკ-ს 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.



გამოძიების პირველადი ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცი, მეგობრებთან ერთად, ერთ-ერთ კლუბში იმყოფებოდა. წინასწარი მონაცემით მან მიიღო გარკვეული ალკოჰოლური სასმელი, რა დროსაც გონება დაკარგა. ბ.ზ. დაუყოვნებლივ გადაიყვანეს სამკურნალო დაწესებულებაში.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ჩატარდა მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის – აღებულია შარდისა და სისხლის ბიომასალები, რაზეც შესაბამისი ექსპერტიზები დაინიშნა.

ბ.ზ. ამ დრომდე მართვით სუნთქვაზე, ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება“, – განუცხადეს „ფორტუნას“ შსს-ში.

# სტამბოლში საქართველოსა და რუსეთის მოქალაქეებს შორის სროლა იყო

## მოკლულია ქართველი თ.პ.

თურქული მედიის ინფორმაციით, სტამბოლში საქართველოსა და რუსეთის მოქალაქეებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება მოხდა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა.

გარდაცვლილია საქართველოს მოქალაქე თ.პ.. არიან დაჭრილებიც. სხვა თურქული მედიასაშუალების ინფორმაციით კი დაღუპულია ორი ადამიანი, ერთი რუსეთის მოქალაქეა, ერთი კი – საქართველოსი.

ამავე ინფორმაციის თანახმად, დაპირისპირების ადგილზე ნაპოვნია მაყუჩიანი იარაღი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ვლადიმერ კონსტანტინიდიმ სტამბოლში მომხდარ ფაქტზე განმარტებები გააკეთა.

მისი თქმით, რუსეთისა და საქართველოს მოქალაქეებს შორის ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირებაზე საუბარი არ არის.

მისივე განმარტებით, სავარაუდოდ, ადგილი აქვს კრიმინალურს ფაქტს.

– ამ ეტაპზე მიმდინარეობს გამოძიება. ჩვენი საკონსულო აქტიურადაა ჩართული. ჩვენი კონსული ამ წუთებშიც იმყოფება პოლიციაში. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ გარდაცვლილია საქართველოს ერთი მოქალაქე. წინასწარი მონაცემებით, ერთ-ერთ კომერციულ ობიექტზე თავდასხმა მოხდა, სადაც იმყოფებოდნენ სხვა




ქვეყნის მოქალაქეები, საუბარია რუსეთის მოქალაქეებზე. დაჭრილია 2 ადამიანი, სამწუხაროდ, არის გარდაცვლილი, ის საქართველოს მოქალაქეა. 2 პირი, რომელიც თავდასხმაში მონაწილეობდა, მიიმალა.

დასტურდება, რომ ისინი ეთნიკურად იყვნენ ქართველები, თუმცა მათი მოქალაქეობა ჯერჯერობით არ არის დადასტურებული. მეტი დეტალი მოგვიანებით გვეცოდინება, რადგან გამოძიება მიმდინარეობს, – განაცხადა კონსტანტინიდიმ.

რაც შეეხება საქართველოს მოქალაქის გადმოსვენებას, ვლადიმერ კონსტანტინიდის თქმით, ასეთ შემთხვევაში საგარეო უწყება მყისიერად რეაგირებს. მისივე განმარტებით, გადმოსვენების მიმართულებითაც საკონსულო მუშაობს.

– სავარაუდოდ, როდის მოხდება გადმოსვენება, როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში დამოკიდებული ვართ გამოძიებაზე, რადგან მათ უნდა მოგვცენ თანხმობა, ვინაიდან საუბარი ეხებოდა კრიმინალურ შემთხვევას. ეს იყო თავდასხმა, კონკრეტულად, თუ არ ვცდები, საფოსტო გზავნილების ოფისზე, სადაც 3 შეიარაღებული მამაკაცი შეიჭრა და იქ მყოფ ადამიანებს მიწაზე დაწოლა მოსთხოვეს.

დიდი ალბათობით, შეიძლება ეს იყო კრიმინალური გარჩევა, არ არის გამორიცხული, ძარცვის მიზნით. ეს დაზუსტდება გამოძიების მიერ. ამ პროცესში მოხდა გასროლა, რის შემდეგაც მოხდა იქ მყოფი ადამიანების დაჭრა, შემდეგ თავდამსხმელებმა მიმალვა ცადეს, – განაცხადა საგარეო უწყების წარმომადგენელმა.

კითხვაზე, კავშირში იყვნენ თუ არა რუსები და ქართველები ერთმანეთთან, კონსტანტინიდი განმარტავს, რომ აქ, მოქალაქეობრივ კუთვნილებას და ეთნიკურ წარმომავლობას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

მისივე განმარტებით, საუბარი არ არის მათ შორის არსებულ რაიმე ტიპის პარტნიორობაზე.

# ბიძის მიერ 13 წლის ძმისშვილის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით ექიმი დააკავეს

რუსთავში ბიძის მიერ 13 წლის ძმისშვილის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით ფსიქიკური პრევენციის ცენტრის ექიმი დააკავეს. მას ბრალად სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება ედება. რუსთავში ვალერი ირემაძემ 13 წლის ძმისშვილი გოგიტა ირემაძე 10 თებერვალს მოკლა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული თ.ა. მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს. მას ბრალი ედება სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებაში, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

დანაშაული 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 9 თებერვალს, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს სამედიცინო დახმარებისთვის მიმართეს მოქალაქე ვ.ი.-მ და მისმა ნათესავებმა. მათ ექიმ თ.ა.-ს პაციენტ ვ.ი.-ს ფსიქიატრიული გამოკვლევა და სტაციონარში მოთავსება სთხოვეს. ექიმმა არ გაუწია შესაბამისი დახმარება, რის შემდეგაც ვ.ი.-მ. სამედიცინო დაწესებულება დატოვა. მეორე დღეს მან დანით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა ძმისშვილს გ.ი.-ს, რომელიც გარდაიცვალა.

საქმეზე ჩატარებული ფსიქიატრიული ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ ვ.ი.-ს აღენიშნებოდა ფსიქიკური აშლილობა – ეპილეფსიური ფსიქოზი და არსებობდა რისკი, რომ მას მიეყენებინა ზიანი როგორც საკუთარი თავისათვის, ასევე სხვისთვის.



გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 220-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით, სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების ფაქტზე, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია“, – აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

2019, 19 ივნისი, №143

# ზელენსკი: „დონბასელ სეპარატისტებთან დიალოგი არ მექნება“

## უკრაინის პრეზიდენტი პარიზში ჩავიდა

უკრაინის პრეზიდენტმა ევროპული ტურნე დაიწყო.

პარიზში ჩასული ზელენსკი საფრანგეთის პრეზიდენტ მაკრონს შეხვდა. მოლაპარაკებების შემდეგ მოეწყო პრესკონფერენცია.

ვლადიმერ ზელენსკი დამსწრე საზოგადოებას უკრაინულად მიმართავდა. ამან ფრანგი ჟურნალისტები გააოცა.

– რუსული პრესა წერდა, რომ თქვენი მშობლიური ენა რუსულია, – ასე მიმართა ერთ-ერთმა მათგანმა ზელენსკის.

– ეს რუსების მიერ გავრცელებული ერთადერთი დეზინფორმაცია არაა, – გაიცინა ზელენსკიმ.




პირველი კონფუზი მაშინ მოხდა, როცა საუბარი დონბასში მიმდინარე პროცესებს შეეხო. ზელენსკიმ და მაკრონმა ხაზი გაუსვეს, რომ პრობლემის სამხედრო გზით გადაჭრა უპერსპექტივოა.

ზელენსკის სიტყვებმა, უკრაინა ძალადობის წინააღმდეგია და ცეცხლის შეწყვეტას ცდილობს, აპლოდისმენტები გამოიწვია. ამის შემდეგ სიტყვა მაკრონმა აიღო. მან თქვა, რომ პრეზიდენტი ზელენსკი სეპარატისტებთან დიალოგისთვის მზადაა.

– მაპატიეთ, მუსიე პრეზიდენტო, მაგრამ მგონი ვერ გამიგეთ, – შეაწყვეტინა ზელენსკიმ, – სეპარატისტებთან დიალოგს აზრი არ აქვს, რადგანაც ისინი მოსკოვის ნებაზე დადიან. დიალოგი რუსეთთან მექნება. სეპარატისტებთან ლაპარაკს უბრალოდ აზრი არ აქვს.

მაკრონი აშკარად შეცბა. ეტყობა, საფრანგეთის პრეზიდენტი ასეთ პასუხს არ მოელოდა. ამ დროს უკრაინელი ჟურნალისტი შეეკითხა, რამდენად მართალია, რომ საფრანგეთი რუსეთისთვის სანქციების მოხსნას და მის ევროპის საპარლამენტო ასამბლეაში დაბრუნებას ესწრაფვის.

მაკრონმა ზელენსკის გადახედა, ამ შეკითხვას პასუხი პირველმა მან გასცესო.

– ამ საკითხზე მუსიე მაკრონთან მქონდა საუბარი, – თქვა ზელენსკიმ, – პირდაპირ განვაცხადე, რომ რუსეთი ძალადობრივ პოლიტიკას განაგრძობს და მისი პასეში დაბრუნების არავითარი საფუძველი არ არსებობს.

მაკრონმა თავის მხრივ შენიშნა, რომ პასეში რუსეთის დაბრუნება რუსეთის მოქალაქეებისთვისაა აუცილებელი. მათ საშუალება მიეცემათ, ხელისუფლებას საერთაშორისო სასამართლოში უჩივლონ. ამავე დროს, მაკრონმა განაცხადა:

– საუბარი არ არის რუსეთისთვის სრულუფლებიანი წევრის სტატუსის დაბრუნებაზე. რაც შეეხება სანქციებს, ამას პასესთან კავშირი არ აქვს. რუსების მიმართ სანქციები გაგრძელდება.

უკრაინის პრეზიდენტის პარიზში ვიზიტი დასრულდა. გუშინ, 18 ივნისს, ის გერმანიაში გაემგზავრა.

კანცლერ მერკელთან შეხვედრამდე ზელენსკიმ გაზეთ „ბილდს“ მისცა ინტერვიუ.

ჟურნალისტის კითხვას, პირველი შეხვედრისას პუტინს რას ეტყვითო, ზელენსკიმ მიუგო:

– ვეტყვი, ყირიმს როდის დაგვიბრუნებთქო.

უკრაინის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ უნდა შეიქმნას საგზაო რუკა, სადაც გაწერილი იქნება ყირიმის უკრაინისთვის დაბრუნების პროცესი.

მოსკოვში ეს ინტერვიუ შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

– ჯერჯერობით პუტინ-ზელენსკის შეხვედრა გამორიცხულია! – თქვა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა.

კრემლის პოზიცია ტრადიციულად ვლადიმერ ჟირინოვსკიმ გაახმოვანა:

– უკრაინამ ბრძოლის ველზე ისეთივე დარტყა უნდა მიიღოს, როგორც საქართველომ! ამის შემდეგ ზელენსკი უფრო ჭკვიანურად მოიქცევა!

# იგორ დოდონი: „ცნებები პროდასავლური და პრორუსული მოძველდა“



მოლდოვის პრეზიდენტმა და პუტინის პროტეჟე იგორ დოდონმა საზოგადოება კვლავ გააოცა. მან თქვა, რომ პრორუსული ორიენტაციისა არ არის.

– საერთოდ, ცნებები პრორუსული და პროდასავლური მოძველდა, – ამბობს დოდონი.

პრეზიდენტის აზრით, მისი პოლიტიკა პრომოლდავურია, ანუ მისი მიზანია მოლდაველი ერის, მოლდავური სახელმწიფოს გადარჩენა.

– თუ საამისოდ რუსეთთან დათმობაა აუცილებელი, ამაზე უნდა წავიდეთ. არც იმას გამოვრიცხავ, რომ დროებით ჩვენი სუვერენიტეტი გარკვეულწილად შეიზღუდოს, მოლდოვაში კი რუსული კაპიტალი შემოვიდეს, – აცხადებს დოდონი.

დოდონმა განაცხადა, რომ მალე მოსკოვში ჩავა, სადაც ვლადიმერ პუტინს და პრემიერ მედვედევს შეხვდება.

– ჩვენი მიზანი მოლდოვური საქონლის ბაჟისგან გათავისუფლებაა! სანაცვლოდ ნებისმიერი დათმობისთვის მზად ვართ, – აცხადებს დოდონი.

# მაიკ პომპეო: „აშშ-ს ირანთან ომი არ სურს“



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ განაცხადა, რომ ომანის ყურეში ნავთის ტანკერების აფეთქება ირანის ნახელავია.

– ჩვენ ამისი დამადასტურებელი საბუთები გაგვაჩნია! – ამბობს პომპეო.

ამავე დროს, პომპეომ ისიც აღნიშნა, რომ აშშ-ს ირანთან ომი არ სურს.

– პრეზიდენტი ტრამპი ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ომი თავიდან იქნას აცილებული! – თქვა პომპეომ.

მსგავსი განცხადება გააკეთა ირანის პრეზიდენტმა ჰასან რუჰანიმ

– ირანი არ აპირებს არც ერთი ქვეყნის წინააღმდეგ ომის წარმოებას, – თქვა მან.

# პუტინის რეიტინგი 24%-მდე დაეცა



რუსეთის პრეზიდენტის ვლადმერ პუტინის რეიტინგი ეცემა. თუ ცოტა ხნის წინ მას 29% უჭერდა მხარს, ახლა ეს მაჩვენებელი 24%-მდე დაეცა.

რუსი პოლიტოლიგის სერგეი მარკოვის აზრით, პუტინის რეიტინგის ვარდნა დონბასში გაჭიანურებულმა ომმა, აგრეთვე დასავლეთის სანქციებმა და რუსეთის მოქალაქეთა მატერიალური მდგომარეობის მკვეთრმა გაუარესებამ გამოიწვია. მარკოვი მიიჩნევს, რომ ვითარების გამოსწორება საგარეო ფრონტზე გამარჯვებას შეუძლია, ანუ პუტინმა უნდა მიაღწიოს იმას, რომ უკრაინამ, საქართველომ და მოლდოვამ ევროინტეგრაციის ტემპი შეანელონ და მოხდეს მათი ფედერალიზაცია.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# 20-წამიანმა ვიდეომ გოგონას სიცოცხლე შეუნარჩუნა

ინგლისის კენტის საგრაფოს ქალაქ გრეივზენდის მკვიდრმა ქალმა ექიმებს ავადმყოფი ქალიშვილის 20-წამიანი ვიდეო აჩვენა და ამით სიცოცხლე შეუნარჩუნა. დედის მიერ გადაღებული კადრები ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.



30 წლის ჯეიდ როდფორდი იხსენებს, რომ მისი გოგონა ელა რამდენიმე დღე ავადმყოფობდა, სანამ მისი მდგომარეობა გაუარესდებოდა. მკურნალმა ექიმმა ბავშვი გასინჯა, მაგრამ მას რაიმე სახიფათო გადახრა ვერ ალმოუჩინა. საავადმყოფოდან დაბრუნების შემდეგ ქალმა გოგონა ბებიას დაუტოვა.

– ხუთ წუთში დედამ დამირეკა და მითხრა, რომ სახლში უნდა დავბრუნებულიყავი, – განაცხადა ბავშვის დედამ, – ელას სული ეხუთებოდა და ლურჯდებოდა.

როდფორდის თქმით, გოგონას ტემპერატურამ აუწია. შეშფოთებულმა ქალმა ბავშვს მობილურით ვიდეო გადაუღო. კადრებში ჩანს, თუ როგორ იფარება ელას კანი ყვითელ-ჟოლოსფერი ლაქებით. ქალმა სასწრაფო დახმარებას დაურეკა და ბავშვის მდგომარეობა აუწერა. ოპერატორმა ის გააფრთხილა, რომ სასწრაფო დახმარების მისვლას შესაძლოა გარკვეული დრო დასჭირვებოდა და ურჩია, რომ თავად მისულიყო საავადმყოფოში.

ქალმა ელა გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში მიიყვანა. ექიმებმა ზუსტი დიაგნოზის დასმა ვერ მოახერხეს, ვინაიდან, დედის თქმით, სიმპტომები მკვეთრად მხოლოდ სახლში ჩნდებოდა. როდფორდმა მათ ადრე ჩაწერილი ვიდეო ანახა, რის შემდეგაც ბავშვი დაუყოვნებლივ საავადმყოფოში მოათავსეს. ბავშვს სეფსისი აღმოუჩინეს.

ხუთი წლის ელამ 12 დღე გაატარა საავადმყოფოში.

– ვიდეო რომ არ ჩამეწერა, ელა ახლა ცოცხალი არ იქნებოდა. ექიმები გასინჯავდნენ და ისევ სახლში გაგვიშვებდნენ, – ამტკიცებს როდფორდი, – ინტუიციამ მიკარნახა, რომ გოგონას რაღაც ჭირდა. ამ ვიდეომ მას სიცოცხლე შეუნარჩუნა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


# განცხადებები

**შევისყიდით წიგნებს!**

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ნიდერლანდების საელჩო: „ტურისტებს ვურჩევთ, პრაიდის მარშისგან თავი შორს დაიჭირონ“



ნიდერლანდების საელჩო საქართველოში ჰოლანდიელ ტურისტებს მოუწოდებს, „თბილისი პრაიდის“ ფარგლებში დაგეგმილი მარშისგან თავი შორს დაიჭირონ.

ამის შესახებ ინფორმაცია ჰოლანდიის დიპლომატიური წარმომადგენლობის „ფეისბუქის“ გვერდზეა განთავსებული.

– მიმდინარე კვირა, 18-26 ივნისი, გაცხადებულია, როგორც თბილისი პრაიდის კვირეული, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ღონისძიება ტარდება. ჩვენ ვურჩევთ ჰოლანდიელ ტურისტებს, თავი შორს დაიჭირონ პრაიდის მარშისგან, რადგან არსებობს რისკი, რომ კონტრდემონსტრანტები ძალადობრივ კონფრონტაციებს მოაწყობენ.

# მერკელი ზელენსკისთან შეხვედრის დროს შეუძლოდ გახდა



ანგელა მერკელი უკრაინის პრეზიდენტთან შეხვედრის დროს შეუძლოდ გახდა. ინციდენტი დახვედრის ცერემონიისას მოხდა. სახელმწიფო ჰიმნის შესრულების დროს გერმანიის კანცლერს შეეტყო, რომ თავს ცუდად გრძნობდა, მაგრამ ცერემონია არ შეწყვეტილა.

სავარაუდოდ, გერმანიის კანცლერის ცუდად გახდომის მიზეზი მაღალი სიცხე გახდა. დახვედრის ცერემონიის დროს ჰაერის ტემპერატურა ბერლინში 30 გრადუსზე მაღალი იყო. მომხდარის შესახებ კანცლერს შეკითხვა პრესკონფერენციის დროსაც დაუსვეს, რაზეც მან განაცხადა, რომ თავს უკეთ გრძნობდა.

ქვეყნების ლიდერებმა სხვადასხვა საკითხი განიხილეს, მათ შორის დონბასის თემაც. ანგელა მერკელის განცხადებით, რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციები მხოლოდ უკრაინის სუვერენიტეტის აღდგენის შემდეგ გაუქმდება.

# ფრანგული ფეხბურთის ლეგენდა მიშელ პლატინი დააკავეს



უეფას ყოფილი პრეზიდენტი და ფრანგული ფეხბურთის ლეგენდა მიშელ პლატინი კორუფციის ბრალდებით ნანტერეში დააკავეს.

ადგილობრივი სამართალდამცველების მტკიცებით, პლატინის დიდი როლი მიუძღვის იმ კორუფციული სქემის შექმნაში, რომლის მიხედვითაც 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გამართვის უფლება ყატარს მიენიჭა.

მიშელ პლატინიმ უეფას პრეზიდენტის პოსტზე 2007 წელს აწ განსვენებული ლენარტ იოჰანსონი შეცვალა.

# ოთხი წლის ბავშვმა პაპის მანქანა გაიტაცა



ამერიკის მინესოტას შტატში ოთხი წლის ბიჭმა დიდი პაპის ავტომობილი გაიტაცა და კანფეტების საყიდლად წავიდა.

11 ივნისს დილით ადრე სებასტიან სვენსონს ტკბილეული მოუნდა. მან კედელთან სკამი მიადგა, რომ მაღლა ჩამოკიდებულ პაპის მანქანის ჰიუნდაი სანტა ფეს გასაღებს მისწვდომოდა.

ბავშვმა მანქანა აამუშავა და უახლოეს ავტოგასამართ სადგურამდე ორი კილომეტრი გაიარა. იქ მას პოლიციელები დახვდნენ. პოლიციის კაპიტანმა აღნიშნა, რომ ასეთი პატარა ასაკის მძღოლი პირველად ნახა თავის ცხოვრებაში.

ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა სვენსონმა რამდენიმე საფოსტო ყუთი დააზიანა, მეზობლის ეზოში ხეს გამოსდო და იქ მანქანის ბამპერის ნაწილი დატოვა.

ის ეზოდან გავიდა, რამდენიმე ქუჩა გაიარა და მარცხნივ ოთხზოლიან გზაზე გავიდა. თვითმხილველებმა აღნიშნეს, რომ მანქანა ქაოტურად გადაადგილდებოდა და მისი სიჩქარე საათში დაახლოებით 24 კილომეტრს შეადგენდა.

# მამაკაცმა ზოომაღაზიაში იშვიათი თევზები მოწამლა



სინგაპურის ქალაქ კალანგში ბოროტმოქმედი მივიდა ზოომაღაზიაში და დიდი რაოდენობით აკვარიუმის თევზები მოწამლა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა აზიურმა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა.

სათვალთვალო კამერის მიერ გადაღებულ ვიდეო ჩანაწერში ჩანს, თუ როგორ მივიდა მამაკაცი აკვარიუმთან, რომელშიც დაახლოებით 40-50 თევზია და შიგ რაღაც ნივთიერება ჩააგდო. ამის შემდეგ აკვარიუმში წყალი აიმღვრა და მაღაზიის თანამშრომლის თქმით, ძლიერ სუნს აფრქვევდა.

მაღაზიის მეპატრონე ნგ ხიმ იიკმა განაცხადა, რომ მან მაშინვე აკვარიუმთან მიირბინა და თევზების გადარჩენა ცადა. მეორე დღეს მან პოლიციაში განცხადება შეიტანა და განაცხადა, რომ მისმა ზარალმა დაახლოებით 500 სინგაპურული დოლარი შეადგინა, ვინაიდან იშვიათი ჯიშის თევზები დაიღუპნენ. მან ასევე აღნიშნა, რომ ბოროტმოქმედი პირველად არ გამოჩენილა მის მაღაზიაში.

პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო.

# მთვრალი ტურისტი საკრუიზო ხომალდის აუზში დაიხრჩო



მთვრალი ტურისტი საკრუიზო ხომალდ Carribean Princess-ის აუზში დაიხრჩო. ამ ინფორმაციას Cruise Law News-ს ბლოგი ხომალდის ეკიპაჟის წევრსა და ერთ-ერთ მგზავრზე დაყრდნობით ავრცელებს, რომლებმაც ვინაობის გამხელა არ ისურვეს.

მამაკაცი, რომელიც, სავარაუდოდ, 30 წლის იქნებოდა, აუზის „ნეპტუნის“ ფსკერზე პარასკევ დილას იპოვეს. თვითმხილველთა მტკიცებით, მამაკაცი მთელი ღამე აუზის მახლობლად სვამდა. შემდეგ ის აუზის კიდეზე ჩამომჯდარი ნახეს. ამ დროს მას ფეხები წყალში ჰქონდა ჩაყოფილი. ბოლოს ის ცოცხალი აუზში ცურვის დროს ნახეს.

უცნობია, იყო თუ არა იმ მომენტისთვის აუზი ცურვისთვის დაკეტილი, ასევე იმყოფებოდნენ თუ არა გემბანზე აუზის მახლობლად ხომალდის ეკიპაჟის წევრები.

# კენგურუმ სახლის კედელი შეანგრია



ავსტრალიაში კენგურუ სახლში მას შემდეგ აღმოჩნდა, როდესაც მისი ერთ-ერთი კედელი შეანგრია და ოთახი ყირაზე დააყენა. ამის შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელში გოგონამ, სახელად სარამ, გამოაქვეყნა.

გოგონას თქმით, ინციდენტი 15 ივნისს მოხდა. მისი ოჯახი ფერმაში ცხოვრობს და შაბათს გადაწყვიტეს, რომ სახლის გარეთ ესადილათ. სახლში დაბრუნების დროს მამამისმა კედელში ხვრელი აღმოაჩინა, შემდეგ კი ოთახში მყოფი კენგურუ შენიშნა.

– მან დამიყვირა, რომ თოფი მიმეტანა, მაგრამ მე მკვლელობის წინააღმდეგი ვარ, ამიტომ ცხოველის შესაშინებლად ცოცხი მივეცი, – აღნიშნა გოგონამ. მისი თქმით, მამამისმა დიდი გაჭირვებით მოახერხა კენგურუს ჯერ სამზარეულოში განდევნა, იქიდან კი ქუჩაში გამოგდება.

სარას ოჯახში ფიქრობენ, რომ კენგურუმ სახლის კედელი მას შემდეგ შეანგრია, როდესაც ის ძაღლებმა კუთხეში მიიმწყვდიეს. თავად გოგონამ კი აღნიშნა, რომ მომხდარით უკმაყოფილოა და ასევე გული დაწყდა იმის გამო, რომ ეს ყოველივე ვიდეოზე არ გადაიღო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# მამაკაცი 14 წლის შეყვარებულის სახლის სხვენში მალულად ცხოვრობდა



ამერიკის ტენესის შტატის ქალაქ მაუნტში პოლიციამ ერთ-ერთი სახლის სხვენში იქ უკანონოდ მცხოვრები მამაკაცი აღმოაჩინა.

18 წლის მეთიუ კასტრო გარკვეული დროის განმავლობაში მალულად ცხოვრობდა თავისი 14 წლის შეყვარებულის სახლის სხვენში ისე, რომ გოგონას მშობლებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. ღამით ის მის ოთახში ჩადიოდა.

შეყვარებული მამაკაცი კიბეზე გოგონას დედამ შენიშნა და პოლიცია გამოიძახა. კასტრო მდევარს გაექცა და სხვენს შეაფარა თავი. ის იქაურობის დატოვებაზე უარს აცხადებდა და ამიტომ სამართალდამცავებს ძალის გამოყენება დასჭირდათ. მამაკაცი დააპატიმრეს.

კასტროს წარუდგინეს სხვის საკუთრებაში უკანონოდ შეღწევის ბრალდება. დედამისმა განაცხადა, რომ მომხდარი მათ ოჯახს ანგრევს და იქვე დაამატა, რომ მის შვილს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები აქვს.

ოდნავ მოგვიანებით ახალგაზრდა მამაკაცი ორი ათასი დოლარის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. მას უახლოეს მომავალში სასამართლოს წინაშე მოუწევს წარდგომა.

აღსანიშნავია, რომ პოლიციის მონაცემებით, რამდენიმე კვირის წინ კასტრომ და გოგონამ ერთად გაქცევა ცადეს. ისინი დააკავეს და გამომძიებელმა მამაკაცი გააფრთხილა, რომ არასრულწლოვანი გოგონასგან თავი შორს დაიჭიროს.

# კაცი შეყვარებულის მიტოვების შემდეგ უენოდ დარჩა



ახალი ამბების ერთ-ერთი ესპანური პორტალის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბარსელონას მცხოვრებმა გოგონამ თითქოსდა ენა მოაკვნიტა თავის ყოფილ შეყვარებულს გამოსამშვიდობებელი კოცნის დროს.

24 წლის ადაია ლოპეს ესტევემ 42 წლის მამაკაცი 2016 წლის დეკემბერში გაიცნო. ორი თვის შემდეგ, მომდევნო წლის თებერვალში წყვილმა დაშორება გადაწყვიტა. თუმცა ისინი მალევე შერიგდნენ და კიდევ ოთხი თვე გაატარეს ერთად. კატალონიელმა მამაკაცმა აღიარა, რომ ესტევეს ხასიათის ცვალებადობამ დაღალა და კიდევ ერთხელ შესთავაზა დაშორება.

მისი თქმით, გაცოფებული ქალი სახლიდან გარეთ გავარდა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ უკან დაბრუნდა და მოუბოდიშა. ესტევე მამაკაცს მოეხვია და გამოსამშვიდობებელი კოცნა სთხოვა. ამ დროს მან შეყვარებულს ენა მოაკვნიტა და შემდეგ იატაკზე გადმოაფურთხა. მამაკაცის ღრიალი მეზობელმა გაიგონა და სასწრაფო გამოიძახა.

ამ შემთხვევიდან რამდენიმე დღეში ესტევე პოლიციამ დააპატიმრა. მის წინააღმდეგ საქმე აღიძრა და სასამართლოში დაიბარეს. მსხვერპლის ადვოკატები მოითხოვენ, რომ დამნაშავეს რვა წლით პატიმრობა შეუფარდონ. ქალი დანაშაულს არ აღიარებს.

# ქალს, რომელმაც წყალსა და სადილზე უარი თქვა, ათასობით კენჭი ამოუღეს




ჩინეთის პროვინცია ხუბეის ქალაქ უხანში ექიმებმა ქალს ნაღვლის ბუშტიდან ათასობით კენჭი ამოუღეს.

სამსაათიანმა ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ქირურგებმა 54 წლის ქალის ორგანიზმიდან 7,8 ათასი კენჭი ამოიღეს, რომელთაგან ზოგიერთი მწყრის კვერცხის ზომის იყო.

ექიმების განმარტებით, ქალის ნაღვლის ბუშტში ასეთი რაოდენობით კენჭების წარმოქმნას ხელი იმან შეუწყო, რომ ის წყალს პრაქტიკულად არ სვამდა და საუზმეზეც უარს ამბობდა. ქალმა აღიარა, რომ შვიდი წლის წინ მას რამდენიმე კენჭი უპოვეს. მაშინ ოპერაცია სისხლის მაღალი წნევის გამო არ გაუკეთეს.

ქალმა საავადმყოფოს მუცლის მიდამოში აუტანელი ტკივილების გამო მიმართა და მისი თქმით, ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ორგანიზმში ასეთი რაოდენობის კენჭები დაუგროვდებოდა.

ექიმ შენ ჩჟანის თქმით კი, მის პრაქტიკაში ეს პირველი შემთხვევაა, რომ პაციენტის ნაღვლის ბუშტში ამდენი კენჭი იყო დაგროვილი და ამას შესაძლოა სიცოცხლისთვის სახიფათო გართულებები გამოეწვია.

# პრინცი ფილიპი ცდილობდა, პრინცი ჰარისთვის მეგან მარკლზე დაქორწინება გადაეფიქრებინა



დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ს მეუღლე პრინცი ფილიპი, სავარაუდოდ, ცდილობდა პრინცი ჰარი დაეყოლიებინა, რომ ამერიკელ მსახიობ მეგან მარკლზე დაქორწინებაზე უარი ეთქვა.

ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემის ინფორმატორის თანახმად, 98 წლის ედინბურგის ჰერცოგმა, როდესაც შენიშნა, რომ მისი შვილიშვილი მსახიობით იყო გატაცებული, ის გააფრთხილა.

– მსახიობებთან ლალატობენ, მაგრამ ცოლად არ ირთავენ, – თითქოსდა უთხრა პრინცმა ფილიპმა პრინც ჰარის.

თუმცა, როგორც ცნობილია, პრინცმა ჰარიმ პაპას ყური არ უგდო და მეგან მარკლზე 2018 წლის 19 მაისს იქორწინა. პრინცი ფილიპი საზეიმო ცერემონიას დაესწრო, მიუხედავად იმისა, რომ მცირე ხნით ადრე მას თეძოზე ოპერაცია ჰქონდა გადატანილი.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ასეთი რჩევისა, პაპასა და შვილიშვილს შორის ურთიერთობა არ გაფუჭებულა. პრინცი პირველი ერთ-ერთი პირველი იყო მათ შორის, ვინც ჰარისა და მეგანის პირველი შვილი ნახა, რომელიც მიმდინარე წლის 6 მაისს დაიბადა.

# მეგან მარკლი სამეფო ტრადიციებს დაუბრუნდება



ბრიტანეთის პრინცისა და მისი მეუღლის სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლის შვილს იმავე სამლოცველოში მონათლავენ, სადაც მამამისი მოინათლა.

ცერემონია უინძორში წმინდა გიორგის სამლოცველოში ივლისში გაიმართება, როდესაც არჩი ორი თვის გახდება. ბავშვს ეცმევა უძველესი მაქმანებიანი კაბის ასლი, რომელშიც დედოფალმა ვიქტორიამ თავისი პირმშო მონათლა. ის პირველად 1841 წელს გამოიყენეს და მას შემდეგ მასში 62 სამეფო ოჯახის წევრი მოინათლა, მათ შორის, პრინცი ჰარი 1984 წელს. თუმცა ამჟამად ორიგინალი კაბა ძალიანაა გაცვეთილი და ამიტომ 2018 წლიდან მის ასლს იყენებენ.

აღსანიშნავია, რომ ნათლობა არჩის საზოგადოებაში გამოჩენის მეორე შემთხვევა იქნება. პირველად ის საზოგადოებას დაბადებიდან ორი დღის შემდეგ წარუდგინეს. მას შემდეგ კი დედის დღეს მხოლოდ მისი ფეხების ფოტოსურათი გამოქვეყნდა.

# კენდალ ჯენერმა ყოფილ მამასთან გადაღებული ფოტოსურათი გამოაქვეყნა



რეალითი-შოუს „კარდაშიანების ოჯახის“ მონაწილე სუპერმოდელმა კენდალ ჯენერმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა საკუთარი ბავშვობის დროინდელი ფოტოსურათი, რომელშიც ის მამასთან ბრიუს ჯენერთან ერთადაა გადაღებული და, რომელიც მოგვიანებით სქესის შეცვლის შემდეგ ქალი გახდა და ახლა ის კეიტლინის სახელითაა ცნობილი. კენდალმა ფოტოსურათი მამის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამოაქვეყნა.

აღნიშნულ ფოტოსურათზე პატარა კენდალი მომღიმარ ბრიუს ჯენერს ხელში ჰყავს აყვანილი.

მის გარდა სუპერმოდელმა კიდევ რამდენიმე საარქივო ფოტოსურათი გამოაქვეყნა. მათში ბრიუს ჯენერი თავისი შვილის ცხოვრების სხვადასხვა პერიოდშია აღბეჭდილი. ზოგიერთში ის სქესის შეცვლამდეა გადაღებული, ხოლო ნაწილში უკვე ქალის სახითაა წარმოდგენილი.

# პითონმა ნიანგი მთლიანად გადაყლაპა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატში მამაკაცმა ფოტოსურათზე აღბეჭდა ის მომენტი, თუ როგორ გადაყლაპა პითონმა ნიანგი.

მარტინ მიულერი კაიაკით ისას მთის გასწვრივ მიცურავდა, როდესაც ყურადღება მიაქცია იმას, თუ როგორ ყლაპავდა პითონი ჭაობში რომელიღაც ცხოველს. მან დაინახა, რომ გველი მკვდარ ნიანგს ყლაპავდა და გადაწყვიტა რამდენიმე კადრი გადაეღო. კადრებში ჩანს, თუ როგორ ყლაპავს თანდათანობით პითონი რეპტილიას.

მამაკაცმა ფოტოსურათები ფეისბუქში სპეციალურ ჯგუფში გამოაქვეყნა. ინტერნეტ-მომხმარებლების უმრავლესობამ გაკვირვება გამოხატა იმის გამო, რომ პითონს ნიანგის შეჭმა შეუძლია.

# ტანსაცმლის მაღაზიის გასასინჯ ოთახში დაყენებულმა ფარულმა კამერამ მყიდველი გააცოფა



იაპონური ტანსაცმლის მაღაზიის გასასინჯ ოთახში ქალმა ფარული კამერა აღმოაჩინა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ჩინელმა ქალბატონმა, სახელად ჩჟუნმა, განაცხადა, რომ გასახდელში შევიდა იმისთვის, რომ ტანზე მოესინჯა ჩასაცმელების ხუთი კომპლექტი, რომელიც მას თვალში მოუვიდა. ამ პროცესის დროს მას თვალში მოხვდა ღილის მსგავსი შავი ფერის საეჭვო საგანი, რომელიც სარკის ზედა ნაწილში კიდეზე იყო მიმაგრებული.

გოგონა „ღილს“ მისწვდა და მიხვდა, რომ ის იქ სალეჭი რეზინით იყო მიმაგრებული. მან ის მოაძრო და ნახა, რომ ის სინამდვილეში მინიატურული ფარული კამერა იყო.

შეშინებულმა და გაბრაზებულმა ჩჟანმა მაშინვე მაღაზიის ადმინისტრაციას მიმართა სიტუაციაში გასარკვევად. მაღაზიის მენეჯერის თქმით, მისი კომპანიაში მუშაობის ოთხი წლის განმავლობაში ასეთ შემთხვევასთან შეხება არასოდეს ჰქონია.

უფრო მეტიც, მენეჯერი დარწმუნებულია, ჩამწერი მოწყობილობა შეუძლებელია, რომ რომელიმე მათი თანამშრომლის ყოფილიყო და, სავარაუდოდ, ის იქ ერთ-ერთმა მომხმარებელმა დააყენა. აღსანიშნავია, რომ დანარჩენ ცხრა ასეთსავე ოთახში ფარული კამერა აღმოჩენილი არ ყოფილა.

# ავსტრალიელებს უმი ქათმის ხორცის ბურგერი მიჰყიდეს



ავსტრალიელების ოჯახს „მაკდონალდსის“ სწრაფი კვების ერთ-ერთ რესტორანში ქათმის უმი ხორციანი ბურგერები მიჰყიდეს. ამის შესახებ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე დაზარალებულმა ჯოზეფ კიმმა დაწერა.

მამაკაცის თქმით, ის სამსახურიდან გასვლას ვერ ახერხებდა და ქალიშვილს სთხოვა მისთვის საჭმელი მიეტანა. მან ქალაქ გოლდ-კოსტის (კვინსლენდის შტატი) გარეუბანში მდებარე რესტორანში მთელი ოჯახისთვის იყიდა ბურგერები. ერთი მამას დაუტოვა და წავიდა. კიმს გაუკვირდა, რომ შეფუთვაში ბურგერის ყველა ინგრედიენტი ცალ-ცალკე ეწყო, მაგრამ ამას ყურადღება აღარ მიაქცია, ვინაიდან ძალიან შიოდა, თავადვე ააწყო ბურგერი და ჭამას შეუდგა.

მისი თქმით, თავიდან უჩვეულო ვერაფერი იგრძნო, მაგრამ შემდეგ რაღაც სირბილე შენიშნა.

– დაახლოებით შუამდე ვიქნებოდი მისული, რომ ბურგერს დავხედე და ქათმის კოტლეტი რომ დავინახე, შოკში აღმოვჩნდი! ის ფაქტიურად უმი იყო, – დაწერა მამაკაცმა.

როდესაც კიმმა სახლში დარეკა, აღმოჩნდა, რომ ქათმის ხორცი მისი მეუღლის ბურგერშიც უმი იყო, თუმცა მისგან განსხვავებით, მას გასინჯვა ვერ მოესწრო.

მომხდარის შემდეგ მან უხარისხო პროდუქციის მიმყიდველ დაწესებულებას მიაკითხა, ბურგერის დარჩენილი ნაწილიც მიიტანა და მის მენეჯერს საკუთარი პრეტენზიის შესახებაც განუცხადა. ამაზე მან პასუხად მიიღო: „კარგით!“ მისი თქმით, ხელმძღვანელის თანაშემწე ცდილობდა მისთვის ბურგერი გამოერთმია და არც საკონტაქტო ინფორმაციას აწვდიდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კომპანია საკუთარ უკმაყოფილებას გამოთქვამს მომხდარის გამო და შიდა გამოძიებას აწარმოებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 19 ივნისისთვის



**ვერძი** – იყავით გაბედული, თამამი. ხელოვნურ ურთიერთობებს ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** – საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. მშვიდი დღეა. **ტყუპები** – კოლექტიური საქმიანობისათვის შეუფერებელი პერიოდია. ყოველგვარი პრობლემა ინდივიდუალურად მოაგვარეთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი საქმიანობა გაამართლებს. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი სრულყოფილად გამოიყენოთ. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ლომი** – პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. მცდარი გადაწყვეტილება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. **ქალწული** – კონფლიქტური დღეა. ალკოჰოლის მიღება გეკრძალებათ. ქალაქგარეთ გასვლა, მივლინებები იღბლიანი იქნება. **სასწორი** – სხვისი ზეგავლენისაგან თავი დაიცავით. გადაწყვეტილებების მიღებისას მხოლოდ საკუთარ ინტუიციას დაეყრდენით. **ღრიანკალი** – გადით ქალაქგარეთ, დაკავდით სპორტით. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საღამოს ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **მშვილდოსანი** – ნუ გარისკავთ, თორემ ავანტიურაში ჩართვა არ აგცდებათ. თვითკონტროლი აუცილებელია. **თხის რქა** – სულიერი და მატერიალური აღმავლობის დღეა. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. **მერწყული** – მოთმინება, თავშეკავება, სიყვარული და მიტევება დღის დევიზია. ბავშვების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. **თევზები** – სასიცოცხლო ძალები სუსტდება. მძიმე წუთებში დახმარებისათვის მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს მიმართეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ქართველი მეტალურგი, აკადემიკოსი; 2. ფრანგული სამხედრო, მოიერიშე თვითმფრინავების სერია; 3. ჩეხი კომპოზიტორი; 4. ხელოვნური წყალსაცავი მცხეთა-მთიანეთში; 5. სიტყვის ბოლოსართი; 7. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. ხელის მინიშნებითი, გამომხატველობითი მოძრაობა; 12. ადამიანის, ცხოველის ძვლების ერთობლიობა; 13. პატარა სამკუთხა ალამი; 14. თეატრი ლონდონში, სადაც შექსპირის ტრაგედიები იდგმებოდა; 15. იაპონური ავტომობილი; 17. სტადიონი მეხიკოში; 19. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში.

**თარაზულად**: 5. ღონისძიება, სისტემა, რომლის მიზანია გაკოტრების პირას მყოფი კომპანიების, ბანკების გადარჩენა; 6. თავფეხიანთა კლასის ზღვის მოლუსკი, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 8. წარწერა საბანკო ჩეკზე სხვა პირზე გადაცემის შესახებ; 9. ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი; 10. ებრაული წესით დაყენებული ღვინო; 11. მოწითალო ფერის, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 13. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 14. ქვეწარმავლის შხამი; 16. მესაქონლეობის ფერმა ამერიკაში; 18. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 20. სპორტის ტექნიკური სახეობა, მოტოციკლეტებით რბოლა ყინულზე ან წიდიან ბილიკზე; 21. ყავის მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბიგლი; 2. სააბი; 3. ჭიანური; 4. ფეტა; 5. ეტნა; 6. ანარქია; 9. ლეგიტიმაცია; 10. არმანიაკი; 11. ყარაგიოზი; 14. სამბა; 16. ოპელი; 18. კვაზარი; 20. მარჩილი; 23. დილა; 24. ტორტი; 25. არმია; 26. ვიში.

**თარაზულად:** 7. ლინდბერგი; 8. ნაფტალინი; 12. დუვრი; 13. ბაქო; 15. უფიცა; 17. მორჩილაძე; 19. ურანი; 21. ბანკი; 22. გზირი; 27. კრაისლერი; 28. ამაშუკელი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. აბრაგი; 2. აქციზი; 3. ჭიათურა; 4. მექსიკა; 5. ქლუხორი; 7. გორგაძე; 11. თრუსო; 12. ბიბლია; 13. ჩარტერი; 14. სფინქსი; 15. სინუსი; 17. ბოტასი; 19. იაგო.

**თარაზულად:** 5. ქულბაქი; 6. მატიანე; 8. ზარა; 9. სუეცი; 10. ოსტიტი; 11. თაჯა; 13. ჩეჭიფეში; 14. სეული; 16. აბული; 18. კატაი; 20. სულგუნი; 21. სამსუნი.

# გიორგი კეკელიძე: „არავის შვილების“ დრო დადგა!“



მწერალი და პოეტი გიორგი კეკელიძე მიიჩნევს, რომ საქართველოში „არავის შვილების“ დრო დადგა:

– ერთხელ, ერთმა კაცმა, დიდად პომპეზურ საჯარო თავყრილობაზე, მხოლოდ კეთილი განზრახვით ჩაფიქრებული, ასეთი სიტყვები თქვა: აგერ, გიორგიო, ანუ მე, არავის შვილი არ არის და როგორ წარმატებას მიაღწიაო.

ამ შვილების და შვილიშვილების საზოგადოებაში, სადაც ადრე, სტუდენტობისას, იმის გაგების შემდეგ, რომ კორნელი კეკელიძის ნათესავი არ ვყოფილვარ, ცოტა მოიწყენდნენ და ერთი-ორი ანეკდოტის მოყოლა მიწევდა, ისევ რომ გამეღიმებინა, ბევრი არაფერი მიკვირს. მაგრამ ეს „არავის“, ყურს უცნაურად მოხვდა. არ მწყენია, გამომსვლელის აზრით, საერთოდაც უნდა გამხარებოდა, დიდი ხანია გარე ამბებისთვის გულის კანი გამისქელდა და არც მარტივი კომპლექსების ტყვე გახლავართ. უბრალოდ დავფიქრდი. სხვა მილიონი ადამიანის მაგივრადაც. რომ ეთქვათ, გლეხის, მუშის, აგრონომის და რა ვიცი, ათასი ვინმეს შვილიაო, შეიძლება, ფიქრიც არ შემეჩერებინა. არადა, იმ კაცმა მართლა კეთილი განზრახვით თქვა და რაღაც აზრით, თვისობრივ ამბავში, სრულებით ზუსტი რამ.

საერთოდ, კარგი წინაპრით სიამაყე ცუდი საქმე როდია, მაგრამ, აბა, ვინ მიკარნახებს, რას ნიშნავს კარგი? მამაჩემი იმიტომ არის არავინ, რომ დღედაღამე მუშაობდა ხან ყანაში და ხან თხილში, ხან ძროხას უვლიდა და ხან წიწილებს? არ იპარავდა და საკუთარ ოცნებებს ჩუმად ხოცავდა იმიტომ, რომ გარეთ სხვები ერთმანეთს ხოცავდნენ და ამ მხოცველთა შორის ბევრი აგერ ვითომ საამაყო წინაპარი იყო? და მამაშენიც და მამამისიც იმიტომ არიან არავინ, რომ მათ ბიოგრაფიაში რაღაც ჯილდოები და ნაშრომები არ წერია? და საერთოდ, როგორ შეიძლება ადამიანი არავინ იყოს? ნებისმიერი ადამიანი. იქ კი, ბაბუათა და მამათა პანთეონში, მნიშვნელოვან ნაწილს, მხოლოდ იმიტომ ერქვა „ვიღაც“, რომ ცეკას შესასვლელთან ეძინათ და დღეს მათ სახელებს, რომელიმე სახლის შესასვლელთან დაძალებულ ლითონის აბრებზე სძინავთ. მაგრამ რაც უნდა ნაძირალა ყოფილიყო და ფსკერის ბინადარი – არასდროს დავარქმევ არავის „არავის“.

ამსიგრძეს იმიტომ ვწერე, რომ დღესაც, ბევრი განათლებული და დაწინაურებული ადამიანი მხვდება და როცა ვიღაცაზე რამე კარგის თქმა უნდა, უკანასკნელ რკინის არგუმენტად, იდუმალი ხმით მიჩურჩულებს: ხომ იცი, ეგ ფეშანგი ფაშვიბერტყაძის შვილიშვილია.

მე კიდევ მგონია, რომ „არავის შვილების“ დრო დადგა. ოღონდ ეს „არავის“ ძალიან ბევრს ნიშნავს, ძალიან დიდს და მნიშვნელოვანს.

# გიორგი ყაზბეგის „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ თურქულად ითარგმნა




პროფესორმა როზეტა გუჯეჯიანმა თურქეთიდან კარგი ამბავი გაავრცელა. გიორგი ყაზბეგის „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ ქართველმა კაცმა, პედაგოგმა რიდვან ათანმა თურქულად თარგმნა:

– ძალიან კარგი ამბავი თურქეთიდან: იქაურმა საუკეთესო ქართველმა კაცმა, პედაგოგმა რიდვან ათანმა თურქულად თარგმნა და გამოსცა გიორგი ყაზბეგის „სამი თვე თურქეთის საქართველოში“. რიდვანმა წლობით იმუშავა და შედეგსაც მიაღწია. ის ქლასკურელი ქართველია. ქლასკური მიკრომხარეა ქლასკურისწყლის ხეობაში, ხეობაში ავდივართ მარადიდისა და ქლასკურის კვეთიდან.

გიორგი ყაზბეგმა 1874 წელს შემოიარა შავშეთი, იმერხევითურთ, კლარჯეთი, ტაო, ლაზეთი და უძვირფასესი მასალა დაგვიტოვა.

მიხარია, რომ ახლა ამ წიგნს თურქულადაც გაეცნობიან და ბევრ, თითქმის ასიმილირებულ ადგილობრივს მიეწოდება ცოდნა საკუთარი წინაპრებისა და სოფლების შესახებ.

გმადლობ, რიდვან! მადლობა ყველას, ვინც მხარს გიჭერდა და გეხმარებოდა.

# მსახიობი ზურა პირველი ლონდონში კაცის საუკეთესო როლის შემსრულებლად აღიარეს




ქართველი მსახიობი ზურა პირველი ლონდონში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესო მსახიობად დაასახელეს.

ჯილდო მსახიობმა კინოფესტივალზე მოკლემეტრაჟიან ფილმში „კარს უკან“ კაცის საუკეთესო როლის შესრულებისთვის მიიღო.

საერთაშორისო კინოფესტივალი ლონდონში ჩატარდა. ფილმი ქართულ-ფრანგული პროექტია და ის ორი წლის წინ ზაფხულში საფრანგეთში გადაიღეს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ქართულ ფილმებს ბოლონიის კინოფესტივალზე აჩვენებენ



იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში დაცულ ქართულ დოკუმენტურ მოკლემეტრაჟიან ფილმებს „თუჯი“, „ხაბაზები“, „მეკვლე“ და „არაბესკები ფიროსმანის თემაზე“ ბოლონიის კინოფესტივალზე აჩვენებენ.

27 ივნისს კინოფესტივალის სტუმრებს ფილმებს ჩვენების კურატორი, ეროვნული არქივის კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივის დირექტორის მოადგილე, კინომცოდნე ნინო ძანძავა წარუდგენს.

კინოფესტივალზე საქართველოს მხრიდან წარდგენილი ოთარ იოსელიანის „თუჯი“, ბიძინა რაჭველიშვილის „ხაბაზები“, გოდერძი ჩოხელის „მეკვლე“ და სერგო ფარაჯანოვის „არაბესკები ფიროსმანის თემაზე“ ეროვნული არქივის კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურმა არქივმა ბოლო ორი წლის განმავლობაში ციფრულად აღადგინა. პროექტზე მუშაობდნენ გიორგი კაკაბაძე, ნინო ძანძავა და შალვა მიქუტიშვილი.

ფილმები გაერთიანებულია თემით „საბჭოთა პროპაგანდის მიღმა: ქართული მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმების ნაკრები“ და ნაჩვენები იქნება ფესტივალის ერთ-ერთ სექციაში. ქართული ფილმების გარდა სექციაში ნაჩვენები იქნება მსოფლიო კინოკლასიკა ჟან რენუარის „ტონი“, ლუის ბუნუელის „ოქროს ხანა“, ფედერიკო ფელინის „ჯამბაზები“, ჯონ კასავეტესის „ქმრები“...

ბოლონიის სინემათეკის მიერ 1986 წელს დაარსებული ფესტივალი საერთაშორისო მასშტაბით მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებაა. მასზე აღდგენილ ხმოვან და უხმო ფილმებს ცალკე სექციაში აჩვენებენ.

კინოფესტივალი 22 ივნისს გაიხსნება და 30 ივნისამდე გასტანს.

# მაია დარსმელიძე: „იმ მამაოებსაც, ვინც ძალადობას გმობს, პიდარასტებს ეძახიან უკვე“



მომღერალი მაია დარსმელიძე თავისი პირდაპირობისთვის ბევრს არ მოსწონს, მაგრამ ეს თავად მომღერალს ყველაზე ნაკლებად აღელვებს და ყოველთვის იმას ამბობს, რასაც ფიქრობს:

– იმ მამაოებსაც, ვინც ძალადობას გმობს, პიდარასტებს ეძახიან უკვე.... მიწაში დებენ, წყევლიან, აგინებენ ყველას, ვინც ძალადობას ემიჯნება. ანტიქრისტეებს ეძახიან, სატანის მოციქულებს, ავადმყოფებს.

რაის მორწმუნეები ხართ, ან რომელ ადამიანობაზე გაქვთ პრეტენზია, თქვე საცოდავებო? ან რა კაცები ხართ? წარმოდგენაც არ მინდა, რა მუდმივ ტერორში გყავთ ოჯახები. რა დღეში გყავთ ქალები, შვილები.

რას დაამსგავსეთ თქვენი ქალები?! ვუყურებ ცოფისგან გადა.ლევებული მორჩილი დიასახლისების კომენტარებს და მეტირება.

რა უქენით და როგორ დაამახინჯეთ და გააბოროტეთ ასე ერთმანეთი? ასე როგორ გაუნადგურეთ ერთმანეთს ბედნიერების შეგრძნება?! ან რა შვილებს ზრდით ამხელა ბოღმით და სიძულვილით. ან რამხელა სიბოროტეს დაატარებთ, რომ ვერასოდეს შეძელით ვერც სიყვარული და ვერც გახარება?

# გია ჯაჯანიძე: „სუსტს სიყვარული აძლიერებს“



ფსიქოლოგი გია ჯაჯანიძე მიიჩნევს, რომ ბოროტი ეძებს სუსტს, სუსტს კი სიყვარული აძლიერებს:

– მე ასაკში ვარ, დიდი გამოცდილებით.

ადამიანების გარკვეული ნაწილი, მონაცვლეობით, მთელი ცხოვრება ცდილობენ დამაბრკოლონ, გული მატკინონ და ბედნიერება წამართვან.

ერთი რამე ვიცი, ვერასოდეს ვერავინ ვერ წამართმევს ბედნიერებას, მე ის დაბადებიდან დამყვა.

ბევრი უსამართლობა, ცილისწამება და შეურაცხყოფა გადავიტანე, მაგრამ ბედნიერება ვერავინ წამართვა, რადგან სიცოცხლეა ჩემთვის ბედნიერება, დანარჩენი შინაარსი და ამბავია, რაც თავს გადაგვხდა.

თუ განგებამ ღირსების, სიყვარულის, სიკეთის, მოთმინების, პატიების და ნებისყოფის უნარი თან დაგაყოლა, ვერავინ ვერ შეგეხება.

ბოროტი ეძებს სუსტს. სუსტს სიყვარული აძლიერებს.

# ირაკლი ფირცხალავამ მასტერს მანქანის ნომრები აჩუქა




მომღერალმა ირაკლი ფირცხალავამ კოლეგას, რეპერ მასტერს, იგივე გიორგი პავლიაშვილს მანქანის ნომრები აჩუქა.

მასტერმა ახალი მანქანა ბე ემ ვე იქს 6 იყიდა, საჩუქრად კი უახლოესი მეგობრისგან ნომერი მასტერ1 მიიღო:

– ნომერი მასტერ1 საჩუქრად ჩემი მაგარი ძმაკაცი, ირაკლი ფირცხალავასგან. დიდი მადლობა მეგობარო, ნამდვილად ვერ მივცემდი საკუთარ თავს ასეთი ძვირფასი საჩუქრის ყიდვის უფლებას.

# ნანუკა გოგიჩაიშვილმა საკუთარი დიზაინით სამკაულები გამოუშვა



მოდელმა და მხატვარმა ნანუკა გოგიჩაიშვილმა საკუთარი დიზაინით სამკაულები გამოუშვა.

კოლექცია სახელწოდებით „აქუა“ ქართულ საიუველირო ბრენდ „ზარაფხანასა“ და „აქუა ბაი ნანუკა“-ს თანამშრომლობის შედეგია.

ახალგაზრდა მხატვრის ნანუკა გოგიჩაიშვილის ინსპირაციის წყარო წყალი და მისი ფორმები გახდა.

კოლექცია 23 სახის ნაკეთობისგან შედგება, რომელიც შესრულებულია 585 სინჯით და შემკულია ისეთი ბუნებრივი ქვებით, როგორიცაა ბრილიანტი, აქვამარინი, ამეთვისტო და მარგალიტი.

„აქუა“ თავისი ხასიათით, ემოციითა და დიზაინით მომხმარებლების ტრენდულ მოთხოვნებს პასუხობს.

ნანუკა გოგიჩაიშვილი:

– მაინტერესებს თქვენი აზრი. ეს იყო დაუვიწყარი ნახევარი წელი, უდიდესი გამოწვევა და გაკვეთილი. მადლობა №1 საიუველირო სახლს ზარაფხანას. ეს არის 23 სურეალისტურ სტილში შესრულებული ჩემს ნაკეთობები ზარაფხანასთან ერთად.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

19 ივნისისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.7664 |
| ევრო | — 3.0995 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.4684 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.2851 |

## ამინდის პროგნოზი 19 ივნისისთვის




„ახალი თაობა“
წარმოგიდგენთ სერიას
„მე მიყვარს კითხვა“

11 ივნისიდან
ვაჟა-ფშაველა
მოთხრობები
ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი




18 ივნისიდან
ანე ფრანკი
თავშესაფარი
ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




31 მაისიდან
დიდი ქართველი მეფეები
ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი




## იუმორი

მამაკაცი ექიმს შესჩივის, რომ სხვადასხვა ტკივილები აწუხებს. ექიმი ეუბნება:

– სასწრაფოდ უნდა დაანებოთ თავი მოწევას, დალევა მხოლოდ დღესასწაულების დროს და ისიც ნორმის ფარგლებში. სამსახურში ნუ შეყოვნდებით. სახლში საღამოს შვიდ საათზე გვიან ნუ დაბრუნდებით...

– კარგით, კარგით, ექიმო, დანარჩენს ცოლი მეტყვის სახლში.

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– იცი, გუშინ ახალი ყმაწვილი გავიცანი და თავისთან მიმიწვია, შიშვლად პოზირებისთვის.

– შენ, რა თქმა უნდა, ეტყოდი, რომ მენატურედ არასოდეს გიმუშავია. ასეა ჰო?

– რა თქმა უნდა, თუმცა მან მიპასუხა, რომ ამას მნიშვნელობა არ აქვს, თურმე არც ისაა მხატვარი.

•••

მამაკაცი ფსიქიატრთან მიღებაზეა და შესჩივის:

– ექიმო, ყოველ ღამე ერთსა და იმავე საშინელ სიზმარს ვხედავ.

– მაინც რა სიზმარს?

– ვხედავ, რომ ჩემი სიდედრი ნიანგს ასეირნებს. აბა წარმოიდგინეთ, ეს დაკრეჭილი კბილები, მოჭუტული თვალები და ზიზღიანი გამოხედვა, ცივი ხორკლიანი კანი!!!

– ჰოო. მართლაც საშინელია.

– დაიცადეთ, ჯერ ნიანგზე არაფერი მითქვამს...

## თომას მიულერმა ჩინეთში 30 მილიონზე უარი თქვა



თომას მიულერს ჩინეთში სათამაშოდ ეპატიჟებოდნენ და ერთ-ერთმა გუნდმა მას კოლოსალური ანაზღაურება შესთავაზა წელიწადში 30 მილიონი ევროს სახით, მაგრამ მიულერმა ამ წინადადებაზე უარი თქვა და, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში ის ბაიერნთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს.

მიულერის თქმით, მას ბაიერნში სურს კარიერის დასრულება და სხვა გუნდზე საერთოდ არ ფიქრობს.

თომას მიულერმა მთელი კარიერა ბაიერნში გაატარა და ამ გუნდთან ერთად უამრავი ტიტული მოიგო, თუმცა ბოლო წლების განმავლობაში მას ხშირად აკრიტიკებენ არასტაბილურობის გამო.

## ლუის სუარესი: „ბარსელონამ ახალგაზრდა ფეხბურთელები უნდა იყიდოს“

ბარსელონის ურუგვაელმა ფორვარდმა ლუის სუარესმა განაცხადა, რომ კატალონიურ გუნდს ახალი ფეხბურთელები სჭირდება და მათ აქცენტი ახალგაზრდა მოთამაშეებზე უნდა გააკეთონ.

სუარესის აზრით, გუნდის განვითარებისთვის ეს აუცილებელია:

– ვფიქრობ, შარშანდელმა სეზონმა აჩვენა, რომ ტრანსფერები აუცილებელია და მათ გარეშე ძალიან გაგვიჭირდება. ხელმძღვანელობამ უკეთ იცის, თუ ვინ უნდა იყიდოს, მაგრამ მე მას ვურჩევდი, აქცენტი ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გააკეთოს.

## ფრენკ ლამპარდი, სავარაუდოდ, ჩელსის მწვრთნელი გახდება



მაურისიო სარის წასვლის შემდეგ ჩელსი დროებით მწვრთნელის გარეშე დარჩა და ლონდონელები ახალ მწვრთნელს ეძებენ.

ინგლისურ მედიაში ხშირად ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ რომ ჩელსის ახალი თავკაცი ამ გუნდის ლეგენდა ფრენკ ლამპარდი გახდება.

ლამპარდი ამჟამად დერბის მწვრთნელია, მაგრამ ჩელსის ის, სავარაუდოდ, უარს არ ეტყვის. ლამპარდმა ჩელსიში 15 წელი გაატარა და ის ამ გუნდის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება.

## ფელიპე კოუტინიო მანჩესტერ იუნაიტედში არ გადავა

ლივერპულის ყოფილმა ფეხბურთელმა ფელიპე კოუტინიომ განაცხადა, რომ ის მანჩესტერ იუნაიტედში არასოდეს ითამაშებს, რადგან ლივერპულს პატივს სცემს, იუნაიტედი კი ლივერპულის მთავარი მეტოქეა.

კოუტინიოს ბარსელონიდან წასვლაზე ხშირად საუბრობენ, თუმცა თვითონ ბრაზილიელი ფეხბურთელი ამბობს, რომ მას ბარსელონაში დარჩენა სურს. წლევანდელი სეზონი კოუტინიომ ცუდად ჩაატარა და, შესაძლოა, ამის გამო ბარსელონა მას დაემშვიდობოს.

## ნაპოლიმ ხამესთან კონტრაქტი შეათანხმა



იტალიურმა ნაპოლიმ ხამეს როდრიგესთან კონტრაქტი შეათანხმა და მხოლოდ რეალთან დარჩა პირობები მოსაგვარებელი.

რეალი ხამესის ტრანსფერში 60 მილიონს ითხოვს, ხოლო ნაპოლი ცდილობს, ნაკლები თანხა გადაიხადოს.

ხამესი იჯარით ბაიერნში იყო განათხოვრებული და გერმანიაში მან ორი სეზონი გაატარა, თუმცა იქ დარჩენა არ სურს, რეალში კი ხამესს სათადარიგოთა სკამზე მოუწევს ყოფნა, ამიტომ ნაპოლი მისთვის კარგი ვარიანტია.

ხამესი უახლოეს მომავალში იტალიაში ჩასვლას აპირებს, სადაც საბოლოოდ შეათანხმებს თავისი კონტრაქტის დეტალებს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი, მსაჯი; 2. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 3. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 4. საცხენოსნო შეჯიბრება; 5. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 6. გრძელ დისტანციაზე მოასპარეზე მძლეოსანი; 9. ქართველი მკლავჭიდელი მამაკაცი, მსოფლიო ჩემპიონი; 10. დუქნების, სასადილოების რიგი ძველ თბილისში; 11. შემინული აივანი; 14. პოეტური ქმნილება; 16. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 18. პატარა თევზსაჭერი გემი; 20. ინდოეთის ოკეანისპირა კურორტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 23. გერმანული მსუბუქი ავტომობილი; 24. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 25. ვრცელი, უტყეო, ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 26. მაღალყელიანი კალოში.

**თარაზულად**: 7. ადამიანის ყოფიერების ზოგადი კანონების შემსწავლელი ფილოსოფიის ნაწილი; 8. ბუნებრივი ნაკრძალის სახელწოდება ზოგიერთ ქვეყანაში; 12. რიტმული სვლა მწყობრი ნაბიჯით; 13. ყველაზე დიდი მდინარე ავსტრალიაში; 15. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 17. ჯალათის სახელწოდება ძველად საქართველოში; 19. ქვებზე, ხეებზე მზარდი უფესვო, სპოროვანი მცენარე; 21. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 22. მდინარე გერმანია-პოლონეთის საზღვარზე; 27. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 28. მაღალი კლასის კომფორტული სასადილო.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



ჩან ჩან ვან + მა ინ ლონ
გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ







ჯიან პი ვან
კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი




ბუი ფუ დი ჰუანგ ვან + ცუნ ცაო
აუმჯობესებს პოტენციას







ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

ბოაი
ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი
არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს
მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/